# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 იანვარი, 2011 წელი.

№10 (6621)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ვიდეოსათვალთვალო აპარატებში დახარჯული ფულით წამლების ფასი შეგვემცირებინა, ②

რად გვჭირდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალთვალი?

## ხელისუფლება ოპტიმისტურად განწყობილია, ② ოპონენტები კი...

## გაუპატიურებული ④ კანონები,

ანუ თუ მოსამართლე პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს 6 თვეზე მეტს მოაკლებს, სამსახურის დაკარგვა ემუქრება

## „განიარაღებული" ბრუნდება საქართველოში ⑧ ამერიკიდან,

უძლები შვილის დაბრუნება ერთი „სამშობლოდან" მეორეში




## ③ რომელ „მიწიერ სამოთხესა" და „სულიერი სიმშვიდის ქვეყანაში" ეპატიჟებიან აფხაზები რუსებს?

„ლიხნის კრება" რუსების წინააღმდეგ?

## დარბეული და დაჯარიმებული პატრიოტები ⑥



## ცივი გონებით წარსულზე თვალის გადავლება, ③

საით მივყავართ ცხოვრებას?

## ტუნისში ხალხმა გაიმარჯვა!

ბოლო მონაცემებით ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთ ღარიბ ქვეყანაში ტუნისში 10 მილიონ 600.000 კაცი ცხოვრობს. როგორც ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ტუნისში უმძიმესი სოციალური ფონი იყო – უმუშევრობამ 80 პროცენტს გადააჭარბა... დეკემბერში დიდი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, ქვეყნის პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი, რომელიც ტუნისს 1987 წლიდან მართავს, მშიერ-მწყურვალ თანამოქალაქეებს ოლიმპიური სიმშვიდით უმტკიცებდა: ახლა დაწყნარდით და 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებო! ამან სულ გადარია ღარიბი ტუნისელები. პოლიციასთან შეტაკებას და უმართავ სამოქალაქო დაპირისპირებას ათობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 14 იანვარს სახალხო გადატრიალება პრეზიდენტის გაქცევით დასრულდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ბენ ალის პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრა. მან საუდის არაბეთს შეაფარა თავი. ჯერჯერობით, ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრი მოჰამედ განუჩი ფლობს, რომელიც მთავრობის შეცვლას და ახალი საპარლამენტო არჩევნების გამართვას აპირებს...



ქვეყნის მოსახლეობის 98 პროცენტი სუნიტური ისლამის მიმდევარი ტუნისელია, 2 პროცენტი ფრანგებისა და იტალიელების შთამომავლები არიან. უძველესი კართაგენის სამეფომ უკვე გამოიღვიძა და ერთმმართველი პრეზიდენტი დაამხო...

ეკონომიკური მიმოხილვა

# ხელისუფლება ოპტიმისტურად განწყობილია, ოპონენტები კი...

## „ვარდობის“ შვიდი წელიწადი

***ახალი საუკუნის ათი წელი მიიწურა. საქართველოს უახლესი ისტორია, რომლის ათვლის წერტილი „ვარდების რევოლუციაა“, ჯერ მხოლოდ შვიდ წელიწადს ითვლის. ისტორიისთვის ეს თითქოს უმოკლესი ხანაა, მაგრამ თანამედროვეთათვის — ერთობ ხანგრძლივი. რამდენად გაუმჯობესდა ამ პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების დონე, რომლის საფუძველთა საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერეა? ამის გასაანალიზებლად კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რა იყო გუშინ და რა გვაქვს დღეს.***

### წინააღმდეგობრივი, მაგრამ მაინც იმედიანი დასაწყისი

**ვარდების რევოლუციის წლისთავზე ბიუჯეტის შემოსავლები წინა ორ წელთან შედარებით გაორმაგდა და ყბადაღებული „ბიუჯეტის სეკვესტრიც“ დავიწყებას მიეცა, მაგრამ ამასთანავე, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმიც საგრძნობლად გაიზარდა - წლის დასაწყისში თუ 137 ლარი იყო, წლის ბოლოსთვის 161 ლარი გახდა .**

2005 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა ძალამ აქტიურად დაიწყო ფისკალური რეფორმების განხორციელება, რომელთა შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობა და სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზება. ნიშანდობლივია, რომ ფისკალურმა პოლიტიკამ კარგად „იმუშავა“ ძველი საგადასახადო კოდექსის ფარგლებშიც კი, რომელსაც „უვარგისის“ იარლიყი ჰქონდა.

2005 წლის ბიუჯეტში საგრძნობლად გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, გაიზარდა პენსია და წელიწადნახევარში ეტაპობრივად დარიგდა შევარდნაძის დროიდან მოყოლებული მილიონობით ლარის სახელფასო და საპენსიო დავალიანება. ამ წელს „ცხოვრების ხარისხის“ გაუმჯობესების მიხედვით საქართველო 87-ე ადგილს იკავებდა.

ფისკალური ადმინისტრირების გაძლიერების პარალელურად ეკონომიკის სამინისტრომ გაააქტიურა და თითქმის შეუქცევადი გახადა პრივატიზაციის პროცესი. მინისტრ ბენდუქიძის თაოსნობით საქართველო ჰყიდდა ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლებოდა (ან არ შეიძლებოდა) — გაკოტრებული საწარმოებიდან დაწყებული ბუნებრივი რესურსებითა და ენერგეტიკული ობიექტებით დამთავრებული. რადგან გაქრა ეკონომიკაში სტრატეგიული ობიექტის ცნება, არც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტები დაინდეს. ბოლოს მაგისტრალურ გაზსადენსა და რკინიგზასაც მიადგნენ, მაგრამ აქ პროცესი დროებით შეჩერდა, ვინ იცის როდემდე? ეკონომიკის სამინისტროს ამგვარ ქმედებებს ქართველ ექსპერტთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მაგალითად, ექსპერტი ლადო პაპავა აღნიშნავდა, რომ ეკონომიკის სამინისტრომ თავისი უმთავრესი ფუნქცია დაკარგა — ის არ ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენა. ბენდუქიძის „ხელგაშლილი პრივატიზაციის“ კურსს შედეგად ნელ-ნელა რუსი ინვესტორები შემოჰყვნენ... ბენდუქიძის დამსახურებათა შორისაა აგრეთვე ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება, რის გამო დღემდე გვსაყვედურობს ევროკავშირი.



### ომამდელი ეკონომიკის შუქ-ჩრდილები

**2006 წელს, როცა ქვეყანამ ბიზნესის წარმართვის რეიტინგში 112-დან 37-ე ადგილზე გადაინაცვლა, მაკროეკონომიკური ფონი ერთბაშად დამძიმდა. წლიურმა ინფლაციამ 14,5 პროცენტს მიაღწია, რასაც სავალუტო ფონდის საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა.**

აშკარაა, რომ ეს ციფრი გაეპარა სტატისტიკის დეპარტამენტს, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ფაქტობრივად გააუქმეს როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა, და ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარეს.

სავალუტო ფონდთან საქართველო ამ დროს მაინცდამაინც ვერ მეგობრობდა, ერთი წლის შემდეგ კი, რაც გაცხადდა, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა დამთავრდა, სავალუტო ფონდთან ახალი პროგრამა ქვეყანას აღარ დაუწყია. ამის მიუხედავად, ფონდის წარმომადგენელმა ინფლაციის გამო ეროვნული ბანკის გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გააკრიტიკა (ეს ის დროა, როცა ეროვნული ბანკი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად გამალებით იბრძვისძ, მაგრამ არაფერი უთქვამს მთავრობის გაუმართლებელ ხარჯვითს პოლიტიკაზე, რომელსაც ადგილობრივი ექსპერტები აკრიტიკებდნენ.

ყველაფრის მიუხედავად, 2007 წელს მთავრობამ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღო პროფიციტული ბიუჯეტი. ეკონომიკური ბუნებიდან და დათვლის ტრადიციული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ეს არ იყო პროფიციტი, რადგანაც მთავრობამ შემოსავლად მაშინ პრივატიზაციიდან მიღებული თანხებიც ჩათვალა, რომელიც წესით ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილში უნდა აღრიცხულიყო. მთავრობა პროფიციტის მოცულობად 275 ათას ლარს ასახელებდა მაშინ, როდესაც რეალურად 189 ათასი ლარის დეფიციტი ჰქონდა. „ფისკალურად პროფიციტულია, მაგრამ მონეტარულად დეფიციტურიო,“ — ამბობდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი.

ის. 4 გვ.

პრესკონფერენცია

# რაში სჭირდება სახელმწიფოს აფთიაქების ვიდეოსათვალთვალო აპარატებით კონტროლი?!

**გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაციების: „ჯანმრთელი სამყარო“, „ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბი“, „ახალგაზრდები სამართლიანობისთვის“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა „ჯანმრთელი სამყაროს“ ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს მედიკამენტების ფასების სავარაუდო მატებასა და ჯანდაცვის ობიექტებში ვიდეოსათვალთვალო აპარატების დამონტაჟებასთან დაკავშირებით.**

პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები ჯანდაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის 2010 წლის 7 დეკემბრის №397 ბრძანებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც სანიტარიულ-ჰიგიენურ-ტექნიკური პირობების ნორმად მიჩნეულია ვიდეოსათვალთვალო სისტემა და აფთიაქებს დაევალათ ობიექტის შიდა და გარე პერიმეტრზე მისი მონტაჟი, ამასთანავე, შს სამინისტროსთან გლობალური წვდომის უზრუნველყოფა.



პირველ რიგში, იგულისხმება ავტორიზებული აფთიაქები (ასეთი თულ 313 აფთიაქია, რომლებმაც უნდა მიიღონ შესაბამისი ნებართვა და სხვა სანებართვო პირობებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდნენ ამ დამატებით სანებართვო პირობასაც, ხოლო მინისტრის ბრძანების საფუძველზე ვალდებული არიან დაამონტაჟონ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, როგორც სანიტარიულ-ჰიგიენური ტექნიკური პირობა.

ამ პირობის შესრულება 2011 წლის 1 თებერვლიდან მოეთხოვება დედაქალაქში მოქმედ 1227 აფთიაქს, სხვა ტერიტორიაზე კი ეტაპობრივად გავრცელდება.

ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის წარმომადგენლის თინათინ ტურძილაძის განცხადებით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება თბილისში დაახლოებით 9 მილიონ ლარს შეადგენს, „ვიდეოსათვალთვალო კამერების შეძენა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ერთ ობიექტზე უნდა დამონტაჟდეს სამი სათვალთვალო კამერა, რომელიც დაახლოებით 7 ათასი ლარი ღირს. თანხა, რომელსაც სააფთიაქო ბაზარი ამ პროექტში ჩადებს, სავარაუდოდ მედიკამენტების ფასებზე აისახება.

ეს ბრძანება არაეთიკურია, რადგან ჯანდაცვის ობიექტებში არ უნდა აწესებდეს ჯანდაცვის პროფესიონალისა და მომხმარებლის ურთიერთობის ვიდეოთვალთვალს. ეს კი ნიშნავს ადამიანის უფლებების დარღვევასა და მისი პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვას,“ — დასძინა ტურძილაძემ.

მისივე თქმით, ბოლო ხანებში გავრცელებული ინფორმაციით, ვიდეოსათვალთვალო აპარატები უნდა დამონტაჟდეს ყველა სავაჭრო ქსელში: ტანსაცმლის, სურსათის, მედიკამენტების და ასე შემდეგ. ასევე სასტუმროებში და გასართობ ადგილებში.

იქიდან გამომდინარე, რომ სათვალთვალო აპარატის დამონტაჟება დაახლოებით 7 ათას ლარამდე ღირს, ბევრი პატარა სავაჭრო ქსელი დაიკეტება, ვინაიდან მათი შემოსავალი ამ აპარატების ყიდვას ვერ გასწვდება.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის — თამარ ჩუგოშვილის თქმით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟების მოთხოვნა ზიანს აყენებს როგორც სავაჭრო ქსელის მესაკუთრეს, ასევე მომხმარებელს და ზღუდავს მათ ინტერესებს. ეს პროექტი შიფრავს კონკურენციის ილუზიასაც, — დასძინა ჩოგოშვილმა.

**თინათინ ბორცვაძე**

ალიანჩალიანი

## საქართველო ითხოვს, ამერიკა უარზეა

**სამხედრო საკითხებში ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის ვარაუდით, შეერთებული შტატები საქართველოსთვის იარაღის მიწოდებას მარტივად არ დათანხმდება.**

**— საქართველოს ხელისუფლება უკვე დიდი ხანია (ომამდე და ომის შემდეგაც) სთხოვს შეერთებულ შტატებს და დასავლეთს სამხედრო სფეროში დახმარებას, მათ შორის იარაღის მიწოდების კუთხით, მაგრამ აშშ-ში ეს საკითხი პოლიტიკურ დონეზეა აყვანილი და იარაღის გაყიდვაზე ნებართვა არ გაიცემა ისე, თუ ვაშინგტონმა პოლიტიკური გარანტიები არ მიიღო, — განაცხადა სესიაშვილმა გაზეთ „კომერსანტის“ ინფორმაციაზე კომენტირებისას და აქვე განმარტა, რომ საქართველოს შემთხვევაში აშშ-ისთვის პოლიტიკური გარანტია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის წინააღმდეგ ძალის არგამოყენება შეიძლება იყოს.**

**ამასთან, სესიაშვილის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა ისიც, რომ შეერთებული შტატები საქართველოსთვის იარაღის „დიდი მასშტაბებით“ მიწოდებაზე დათანხმდეს.**

**— აქ საუბარი შეიძლება იყოს მცირე ოდენობის დახმარებაზე. მაგალითად, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები მცირე ზომის იარაღები არ არის, რომ ის რუსეთს დაუმალო ან სადმე შეინახო. ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ნაწილის მიყიდვა კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ესეც პოლიტიკური გარანტიების შემთხვევაში, — დასძენს ირაკლი სესიაშვილი.**

## ისრაელის მინისტრის „მკაცრი წერილი“

**ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი ქართველ კოლეგას გრიგოლ ვაშაძეს „მკაცრ წერილს“ უგზავნის.**

**ისრაელის მთავარი დიპლომატი საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელისგან, ქართველი სამართალდამცველების მიერ დაკავებული ისრაელელი ბიზნესმენების, რონ ფუქსისა და ზეევ ფრენკელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.**

**აღნიშნული სააგენტოს ინფორმაციით, წერილში ავიგდორ ლიბერმანი ისრაელის მოქალაქეების დაკავებას „უსაფუძვლოს“ უწოდებს და „გამოგონილი მიზეზით“ ხსნის.**

**ამასთან, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ხაზს იმასაც უსვამს, რომ აღნიშნული ფაქტი ორი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე უარყოფით გავლენას იქონიებს.**

## თინა ხიდაშელი უარყოფს

**საპრეზულოს რესპუბლიკელი წევრი თინათინ ხიდაშელი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მიერ მათ დაფინანსებას უარყოფს.**

**მისი თქმით, მცდარია გაზეთ „ქრონიკაში“ ვალერი გელბახიანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს 2007 წელს ეროვნულ საბჭოს პატარკაციშვილი აფინანსებდა.**

**— რესპუბლიკურ პარტიას ბადრი პატარკაციშვილისგან არც ერთი თეთრი არ მიუღია, არც როგორც ეროვნულ საბჭოში შემავალ სუბიექტს, არც როგორც ცალკე რესპუბლიკურ პარტიას. ჯერ კიდევ 2007 წლამდე ჩვენ გვქონდა შეთავაზება ბადრი პატარკაციშვილისგან, თუმცა მან ჩვენგან უარი მიიღო. კერძოდ, ვუპასუხეთ, რომ ჩვენ ფულზე არასდროს ვიყიდებოდით,—აცხადებს ხიდაშელი.**

ჯი-ეიჩ-ენი

## წარსულზე თვალის გადავლება

# საით მივყავართ ცხოვრებას?..

**ამ ბოლო წლებში მეჩვენება, რომ წელიწადი თავისი სიგრძით თვეს გაუთანასწორდა... ასეა თუ ისე, 2010 წელმა მართლაც ისე ჩაიფრიალა მიხედვ-მოხედვაც ვერ მოვასწარი და რაც მოვასწარი სიმწარისა და გულისტკენის შეგრძნება უფრო მეტად იყო, ვიდრე რაიმე სასარგებლო და სასიამოვნო. ეს, ჩემი ინდივიდუალური განაცხადია და ბევრი ალბათ არ დამეთანხმება: დროს ვისთვის რა მოაქვს და ვისთვის – რა, მაგრამ მოდი ხალხის თვალით გადავხედოთ ჩვენს ყოფას და ვთქვათ, ამ უკვე ჩავლილმა წელიწადმა რა სარგებელი მოგვიტანა ჩვენ და ქვეყანას და ვცადოთ ცივი გონების მოხმობა, რათა კარგს კარგი დავარქვათ და ცუდს ცუდი.**

არ შეიძლება მიკერძოებული იყო მაშინ, როდესაც საქმე ქვეყანას ეხება. მემატიანე არა ვარ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის კვალზე სიარული არავის გვავნებს. პირიქით, აუცილებელიცაა. ხომ ვიცით, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს. ამიტომაც აღვნიშნე მემატიანეზე ხაზგასმულად „ზოგიერთი“- მეთქი. სიმართლის აღქმაც განსაკუთრებული ნიჭია. ამ ნიჭს ვერც წერის უნარ-ჩვევა შეცვლის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც განათლება უშველის... სამწუხაროდ! თორემ, ასე რომ იყოს, განა განათლება აკლია მთავრობაში თუ ოპოზიციაში მყოფ ჩვენს ძვირფას ზოგიერთ პოლიტიკოსს და სხვას და სხვას? მათ მიერ გაგებულ სინამდვილეს რომ მოუსმინო, საქართველო ან შავი ჯოჯოხეთია, ან ვარდისფერი სამოთხე. ჩვენი ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად არც ერთია და არც მეორე, თუმცა ხალხის ნაწილის ჯოჯოხეთურ ცხოვრებაზე კი აიშენეს ზოგიერთებმა მიწიერი სამოთხე.

ფაქტია, რომ საქართველო ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, რაც იყო არა თუ ამ ათიოდე წლის წინათ, არამედ ამ ერთი წლის წინათაც კი. ამ დროში ბევრი ცუდი რამ მოხდა მაგრამ ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს კარგიც და უნდა აღვნიშნოთ აუცილებლად. ყველა კარგად ვამჩნევთ, რომ ჩვენი თბილის-ქალაქი გაიზარდა, უამრავი ახალი შენობა შეემატა. ხალხმრავალი გახდა... დედაქალაქის ზოგიერთი უბანი საგანგებოდ გალამაზდა, ქუჩები მოასფალტდა, სკვერები გამწვანდა, აწ უკვე გასულ წელს აშენდა აგრეთვე მინის, ეგრეთ წოდებული გამჭვირვალე შენობები, ულტრა-მოდური ხიდი. კარგია ეს ყველაფერი. კარგია ისიც, რომ პატიმრები უზრუნველყვეს ახალი შენობით. დიახ, რაც კარგია კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებს და პლუსებს თან არ ახლდეს ორჯერ დიდი მინუსები. ქალაქი გაიზარდაო ვამბობთ, მაგრამ თავად საქართველოზე რა ვთქვათ, სიმართლეს ვერსად წაუვალთ: დაპატარავდა, შემცირდა, მის ქალაქებსა და სოფლებში სიცოცხლე ჩაკვდა, ადგილობრივი მაცხოვრებლებიც სადღაც მიიფანტ-მოიფანტნენ. ოკუპირებული ტერიტორიების თითოეული კუთხის ქართველს და, საერთოდ, საქართველოს აბორიგენ მოსახლეობას დღითი დღე ემატება ახალ-ახალი ჭირი და უბედურება.



ახალგორელებს ბაზარზე ქართული ფულის გამოყენება აუკრძალეს, რუსული რუბლითაც კარგად გახვალთო. რა ქნას ისედაც უფულო ხალხმა, გაჭირვებულმა პენსიონერებმა, ვინ არის მათი პატრონი!

მაცხოვრებელთა მხრივაც განახევრდა ჩვენი ქვეყანა და თუკი დედაქალაქი დღეისათვის ხალხმრავალია, ეს მთლად ქართველების ხარჯზე როდია! ახლა მართლაც რომ სატრაბახოდ გვაქვს საქმე, ნამდვილი ინტერნაციონალური ქალაქი ვართ. ვის არ ნახავთ აქ: თეთრკანიანებს, ყვითელკანიანებს, შავკანიანებს, წითელკანიანებსაც... ასე რომ ამ მხრივ ნამდვილად გავმდიდრდით. არ ვიცი მომავალში რას გვიქადის ასეთი სიმდიდრე. არ გამდიდრებულან რეგიონებიდან შემოსული თუ იძულებით შემოხიზნული ხალხი, ადამიანები, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე ნაშრომ-ნაამაგარი სახლები, სავსე ოჯახები, საყვარელი მშობლიური ადგილები მიატოვეს, სიღარიბეს და შიმშილს გამოექცნენ. ახლა ჩვენი სოფლებისა და პროვინციების ნაღები ინტელიგენციის ქალთა წარმომადგენლები თბილისის ბაზრებშია მოდებული. უარეს შემთხვევაში წიწაკებს და რაღაც ფუნთუშებს ყიდიან, უკეთეს შემთხვევაში კი – ყველს. კიდევ უფრო „საინტერესო“საქმიანობით არიან დაკავებულები ისინი ვინც საზღვარგარეთ გაიქცნენ. ხოლო, ვისაც ცოტათი მაინც გაუმართლა, სხვადასხვა ბაზრობების ჯიხურებში მცირედი ბიზნესით ააწყვეს მუშაობა.... თუმცა რომელ ბიზნესზეა ლაპარაკი. კაპიტალისტური წყობილების ტერმინები: „ბიზნესი“, „მენეჯმენტი“, „მენეჯერი“ კარგად დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში, სინამდვილეში კი გრძელდება დაბეგვრებით, უზომო გადასახადებითა და მთავრობის ათასგვარი „მაქინაციებით“ შევიწროებულთა ლუკმაპურის მოსაპოვებლად ბრძოლა, რაღაც წვრილმანებით ვაჭრობა, დირექტორებისა და უფროსების შიშქვეშ. ასეთია ჩვენს ბაზარზე ვითომ კაპიტალიზმის დასაფუძნებლად „გაჩაღებული ურთიერთობები“.

ბიზნესის განვითარებისთვის მიწებს არიგებენ და 15 წლით გადასახადებს აუქმებენო, მოვისმინე. ამ საკითხების ბევრი არაფერი გამეგება და რატომღაც ის წყეული კოლექტივი, კოლმეურნეობები, თავმჯდომარეები, დირექტორები მომაგონდა. სხვათა შორის, ამ დარგის თანამედროვე სპეციალისტებისაგანაც იგივე მოვისმინე, რაც თავადვე გულში გავივლე: ბიზნესის განვითარებისათვის „ივანიჩების“ და „ნაჩალნიკების“ მოწყალება სულაც არ არის საჭირო, მთავარია შეიქმნას სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემო. მაგრამ ბაზარს დღეს ვიღაც დიდი ძია ჯონი მოხერხებულად ფლობს და აკონტროლებს., რომელ მცირე და საშუალო ბიზნესზეა საუბარი. „უჩინარი“ ძია ჯონი მათ შეუმჩნევლად და მოხერხებულად ისრუტავს, ყველაფერი თავად აილო ხელში! ამას მონოპოლისტური კაპიტალიზმი ეწოდება და ჩვენს ქალაქში ძალიან ყელყელაობს. ასეთი კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ძირშივე ისპობა, შედეგად ვერ ვითარდება ეკონომიკა და ქვეყანას სიდუხჭირე ემუქრება. ეკონომიკის მეცნიერების ეს მცირედი ფილოსოფია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ იმ საუკუნეში, კაპიტალიზმის უდიდესი მტრების – მარქსისა და ენგელსის ნაშრომებიდანაც საკმაოდ მაქვს ამოკითხული, თანამედროვე ეკონომისტებზე რომ არაფერი ვთქვა რა... ესეც ირონიაა.

ისევ ქალაქის სილამაზეს თუ დავუბრუნდები, სხვათა შორის, არც გამჭვირვალე შენობების წინააღმდეგი ვარ. ისინიც თავისებურ ხიბლს აძლევენ ქალაქს, მაგრამ, ნუთუ ვინმეს მიაჩნია ასეთი შენობები იქ დასაქმებული, ბუნდოვანი და საზოგადოებისთვის ნამდვილად გაუმჭვირვალე ჩინოვნიკების საქმიანობის გამჭვირვალობის სიმბოლოდ? სახელმწიფოს (ხალხისძ თანხები კი იხარჯება და იხარჯება ქალაქის ულტრამოდურად წარმოსაჩენად.

ახლა სხვა სახის შენობაზედაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ციხე რომ ადამიანების სადგომს გავდეს, ესეც ხომ აუცილებელია და ახალი, კეთილმოწყობილი ციხის შენობის წინააღმდეგი ერთი კაციც არ მეგულება ამ ქვეყანაზე., მაგრამ გაუგებარია ციხის შენობების მომრავლება და თითქმის ნახევარი საქართველოს მოსახლეობის შიგ გამომწყვდევა; სადაც ცოდვილთა შორის უცოდველები სჭარბობენო, ამტკიცებენ მავანნი.

განა ყურადსაღები არ არის ის, რომ საქართველო თითქმის 18 წელია ოკუპირებულია მეზობელი დიდი სახელმწიფოს მიერ და ბოლოს და ბოლოს, 2010 წელს, ჩვენი მთავრობის ძალისხმევით გაჩნდა სიტყვა „ოკუპაცია“საერთაშორისო დოკუმენტებში?

იხ. 5 გვ.

## აქ „სამოთხეს“ ყიდიან

# „ლიხნის კრება“ რუსების წინააღმდეგ

**„გეპატიჟებით მიწიერ სამოთხეში!“ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სულიერი სიმშვიდის ქვეყანაში!“ „აქ სამოთხის საუკეთესო ნაკვეთები იყიდება,“ – ამ სიტყვებით ეპატიჟება რუსებს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა.**

„რატომ არ შეიძლება გადავცეთ საკუთარი ობიექტები ქვეყანას, რომელმაც პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი მეგობარი სახელმწიფო და სტრატეგიული პარტნიორია?“ – კითხულობს სერგეი ბაღაფში და შეგვახსენებს, რომ ეს ადგილები საბჭოთა კავშირის დროს ისედაც რუსეთს ეკუთვნოდა.

მისი თქმით, აფხაზებმა არ უნდა დაივიწყონ და უნდა დააფასონ, რაც რუსეთმა აფხაზეთისთვის გააკეთა. სამი ობიექტის რუსეთისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ შეთანხმება აფხაზურმა მხარემ მას შემდეგ მიიღო, რაც იგი ინტერნეტში გაჩნდა.

„სპეციალურად შეიქმნა რუსულ-აფხაზური კომისია, რომელიც კონკრეტულად განიხილავს ამ საკითხებს,“- აღნიშნა ბაღაფშმა. დე ფაქტო პრეზიდენტმა შეახსენა საზოგადოებას, რომ მან ჯერ კიდევ ოჩამჩირეში ყოფნისას გამოთქვა რუსეთისთვის ამ ობიექტების გადაცემის სურვილი.

ბაღაფშმა ისიც გაიხსენა, რომ გაგრის ობიექტი ჯერ კიდევ 2003 წელს 25 მილიონ რუბლად გაიყიდა, ხოლო ბიჭვინთის ობიექტი - რუსეთს უვადოდ ჯერ კიდევ 1995 წელს გადაეცა.

ბაღაფშმა რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში ამ საკითხებით სპეკულაციის შეწყვეტისა და კორექტულობისკენ ყველას მოუწოდა. მისი თქმით, დაუშვებელია რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება.

საერთო-სახალხო საკუთრების გასხვისების საკითხი აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა განიხილეს. ისინი აფხაზეთის ხელისუფლების მიერ რუსული მხარისთვის მიუსერაში, გაგრასა და ბიჭვინთაში მდებარე სამი აგარაკის გასხვისებას აპროტესტებენ.



შეხვედრის მონაწილეთა აზრით, უნდა შემუშავდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომლითაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებაც იქნება გათვალისწინებული. შეხვედრის მონაწილეთა აზრით, ერი ყველაფრის გაღებას არ უნდა დათანხმდეს.

ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა ფიქრობს, რომ რუსეთს თავისი ინტერესები ჰქონდა, რომელიც იმ დროს აფხაზების ინტერესს დაემთხვა. ამასთან, ლაკობა დასაშვებად მიიჩნევს, რომ რუსეთმა, როგორც მოკავშირემ, გარკვეული საკუთრება მიიღოს აფხაზეთში, თუმცა არ შეიძლება რუსეთს ყველაფერში დაეთანხმო.

„ცუდი არ იქნება, თუკი რუსეთის პრეზიდენტს აფხაზეთში დასასვენებელი ობიექტი ექნება. თუმცა რატომ უნდა გადავცეთ ეს ობიექტი პირად საკუთრებაში?“ – კითხულობენ აფხაზი დეპუტატები. გამოდის, რომ რუსეთის მომავალ პრეზიდენტსაც უნდა გადაეცეს აფხაზეთის ახალი ობიექტი. არადა, აფხაზეთის ეს სამი საუკეთესო აგარაკი მთლიანობაში 600 ჰექტარს მოიცავსო.

ექსპერტი ლეილა ტანია კი ფიქრობს, რომ აფხაზების პოლიტიკური ეშმაკობა მოიკოჭლებს. მისი აზრით, აფხაზი ერის კონსოლიდაცია უნდა შედგეს და აფხაზებმა თავად განსაზღვრონ, თუ რომელი ობიექტის პრივატიზებაა დასაშვები.

იხ. 5 გვ.

## ეკონომიკური მიმოხილვა

(მეორე გვერდიდან)

ამ პერიოდის ეკონომიკური მიმოხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუსეთმა ქართული ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლის იმპორტი ფალსიფიკაციის მიზეზით აკრძალა. ამ დროიდან ევროპული ბაზრის მოძიება უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა. ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის შეღავათიანი რეჟიმით საქართველო 2005 წლიდან სარგებლობს, თუმცა დღესაც მისი წილი ევროპის ქვეყნების იმპორტში 0,1 პროცენტზე ოდნავ მეტს იკავებს. ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირს საქართველოს მიმართ ბევრი პრეტენზია დაუგროვდა, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა არსებული სავაჭრო პრეფერენციები დაგვაკარგინოს. ნუსხაში უპირველესია შრომის კოდექსის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. რევოლუციურმა მთავრობამ თავის დროზე აქცენტი მეწარმეზე, დამქირავებელზე გააკეთა, რამაც არსებითად შეზღუდა დაქირავებულის უფლებები. ამას დაემატა 2008 წლიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 25 პროცენტამდე გაზრდაც, მაშინ, როდესაც ამ საგადასახადო ტვირთის დიდი ნაწილი ადრე დამქირავებელს ეკისრებოდა. ამით სახელმწიფომ თითქოს მეწარმის მხარე დაიჭირა, თუმცა მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე, რადგან კარგად გვახსოვს მთავრობის დამოკიდებულება კერძო საკუთრების უფლების მიმართ, ლამის „მოდად“ იქცა სახელმწიფოსთვის ბიზნესის „ჩუქება“. ამ ბუმმა ნაწილობრივ გადაიარა, სამაგიეროდ, დარჩნენ სახელმწიფოს მიმართ „კეთილგანწყობილი“ ბიზნესმენები, რომელთაც უბრალო ენაზე „მონოპოლისტები“ (გნებავთ, „ოლიგოპოლისტები“ჟ ჰქვიათ.

დება, ამ ოპტიმიზმს იგი უცხოურ ინვესტიციებზე ამყარებს. გლობალურმა კრიზისმა დასავლელ ინვესტორებს სერიოზული ზარალი მიაყენა, ამდენად, მათი იმედი ვერ გვექნება. აი, ჩინეთი და ინდოეთი შეიძლება შედარებით სანდო და სტაბილურ ინვესტორებად იქცნენ, რომლებიც საქართველოს ჰიდროენერგეტიკასა და მეტალურგიაში აპირებენ ფულის დაბანდებას.

2012 წელი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს მთავრობის მიერ დაპირებულ 100-დოლარიან პენსიას ჩვენი პენსიონერები სწორედ ამ წელს მიიღებდნენ. 2011 წლის ბიუჯეტი და პროგნოზები, რომელსაც ექსპერტები აკეთებენ, ცხადყოფს, რომ 2012 წელს პენსია არათუ 100 დოლარი, 100 ლარიც ვერ იქნება. თანაც თუ გავითვალისწინებთ ინფლაციას, შესაძლოა მისი მსყიდველობითი უნარი იმ დროისთვის გაცილებით ნაკლები იყოს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მოზაიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საგარეო ვალი, რომელიც 2002 წლიდან 2006 წლამდე მართალია შემცირდა (3,323 მილიარდიდან 2,344 მილიარდ აშშ დოლარამდეჟ, მაგრამ შემდეგ – 2008 წლიდან დღემდე მკვეთრად გაიზარდა (3,694 მილიარდიდან 5,203 მილიარდამდეჟ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ უმეტეს შემთხვევაში მთავრობა ვერ უსაბუთებს საზოგადოებას, რისთვის სჭირდებოდა საგარეო ვალის ესოდენ გაზრდა.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში მაინც შეინიშნება ეკონომიკური აქტივობა, თუმცა საკმაოდ მაღალია ინფლაციის მაჩვენებელიც, რომელიც უკვე გასცდა 10%-ს.

# ხელისუფლება ოპტიმისტურად განწყობილია, ოპონენტები კი...

### რა მოგვიტანა სინგაპურიზაციამ?

**„ლიბერალური“ ეკონომიკის განვითარებას სახელმწიფო აქტიურად განაგრძობს. აღმოჩნდა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები საკმაოდ მარტივად იძლევა საქართველოში ბიზნესის დაწყების შესაძლებლობას და რეიტინგებშიც წამყვან პოზიციებს ვიკავებთ, ათეულში გავედით. ევროკავშირიც მონდომებულია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადავიდეს. თუ, რა თქმა უნდა, თავად მთავრობა გამოიჩენს საამისო ინიციატივას და მის რეკომენდაციებს ბოლომდე გაითვალისწინებს.**

დიდი ვნებათაღელვის მიუხედავად, რევოლუციურმა მთავრობამ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ზღვარგადასული კორუფციის დამარცხებას და ეკონომიკის ლეგალიზაციას. ამის ფონზე რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში ე. წ. „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ გამოვლინდა, რომლის საწყისი წერტილი სიღარიბე იყო. ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანას მაინც არა აქვს გარკვეული, ეკონომიკური განვითარების რა კურსს მისდევს – ანგლოამერიკული მოდელი მოსწონს თუ აღმოსავლეთაზიური.

საქართველოს „სინგაპურიზაციის“ შესახებ არაერთხელ თქმულა ოფიციალურად, თუმცა ევროკავშირთან ინტეგრაციისკენაც მივისწრაფით, ეს ორი მოდელი კი აბსოლუტურად შეუთავსებელია. ამ ძიებაში შედარებით კარგად გამოჩნდა ჩრდილოეთისკენ მიმართული ვექტორი, რადგან ლიად თუ ოფშორში დარეგისტრირებული რუსული კომპანიები ერთობ სოლიდურ წილს იკავებენ უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში. 2007 წელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების ბუმი დაფიქსირდა, თუმცა აგვისტოს ომმა ეს პროცესი მკვეთრად დაამუხრუჭა, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, ინვესტიციებმა ორნახევარჯერ იკლო. 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი სულ მცირედით შეიცვალა, ანუ საქართველო უცხოური ინვესტიციების მხრივ სერიოზულ შიმშილს განიცდის. თუ 2012 წელს მთავრობა 9,5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ელოდება, ამ ოპტიმიზმს იგი უცხოურ ინვესტიციებზე ამყარებს.

### ახალი კურსი VERSUS დაუძლეველი სიღარიბე

**მართალია, ჯერ კიდევ 2007 წელს აღმოჩნდა, რომ თურმე დავძლიეთ სიღარიბე, მაგრამ დღეს, სამი წლის თავზე, ქვეყანას ნახევარ მილიონზე მეტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ჰყავს (2009-2010 წლებში 23 პროცენტით გაიზარდა). წინ კი მძიმე ზამთარი გველოდება. ქვეყანას კვლავ აწუხებს საყოველთაო უმუშევრობის პრობლემა, რომელიც თავისუფალი საქართველოს აქილევსის ქუსლი გახდა (ოფიციალურად, უმუშევრობის დონე 17 პროცენტია, მაგრამ ფაქტობრივად ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატება 20%-ს).**

მაღალი ბიზნესრეიტინგების მიუხედავად, მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ ბიზნესი მძიმე მდგომარეობაშია, საგადასახადო წნეხის გამო მეწარმეები ან გადასახადებს მალავენ (რის გამოც ბევრს დიდი საურავები დააკისრეს 2010 წლის მიწურულსჟ, ბევრი კი საქმიანობას წყვეტს, და მთავრობამაც ახალი ეკონომიკური კურსის შესახებ გამოაცხადა. პარლამენტში კარგად მივიწყებული კანონპროექტი თავისუფლებისა და ღირსების შესახებ თავიდან შევიდა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი ეკონომიკის ჩამოყალიბებას, ახალი საგადასახადო კოდექსის ამუშავებას, საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას. ბოლოს და ბოლოს ქვეყანა ბიზნესზე ორიენტირებული უნდა გახდეს. ამ ასპექტით მნიშვნელოვანია თავისუფალი ტურისტული და ინდუსტრიული ზონების გახსნა. 2011 წლის კორექტირებულ ბიუჯეტში დეფიციტი 6.3-დან 4.3 პროცენტამდე შემცირდა, გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი 97 მილიონი ლარით იზრდება, რასაც მთავრობა სწორედ ამ ახალ ეკონომიკურ კურსს უკავშირებს.

**თუ ხელისუფლება წლევანდელ წელს ოპტიმისტურად უყურებს, ოპონენტები პირიქით ფიქრობენ. როცა ინფლაცია 10 პროცენტს აჭარბებს, ეს იმას ნიშნავს, რომ 2011 წლის ბიუჯეტი სოციალურად მძიმე იქნება. ეკონომისტების პროგნოზით, გამოწვევებით სავსე ახალი წელი გველოდება, მათ შორის განსაკუთრებით პრობლემური იქნება პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა.**

თეა მოსია

## გაუპატიურებული კანონები

***„მწვანეთა პარტიის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 2010 წელს მხოლოდ 10 თვის განმავლობაში ქართულ სასამართლოებში განხილული 12 ათასი სისხლის სამართლის საქმიდან, მხოლოდ 7 საქმეზე, ანუ შესული საქმეების 0,06 პროცენტზე გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი.***

***როგორც „მედიანიუსს“ „მწვანეებში“ განუცხადეს, სტატისტიკური მონაცემებით, მსგავსი განაჩენი აშშ-ში წელიწადში საშუალოდ სისხლის სამართლის საქმეების 50-55 პროცენტზე გამოაქვთ, გერმანიაში – 35-40-ზე, საბჭოთა კავშირშიც კი 30-იანი წლების რეპრესიების დროს, გამართლებული საქმეების მაჩვენებელი 17-18 პროცენტს შეადგენდა. კვლევის მიხედვით, ასევე საგანგაშო მაჩვენებელი დაფიქსირდა პატიმრების რაოდენობის მხრივაც. საქართველოში 100 000 მოსახლეზე 533 პატიმარი მოდის, როცა ფინეთში და სხვა განვითარებული ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 100 000 ადამიანზე 60 პატიმარს აღწევს.***



***რით არის გამოწვეული სასამართლო პროცესებზე მუდმივად ბრალდების მხარის წარმატება და რატომ არის პატიმართა რაოდენობა საქართველოში ასეთი მაღალი? ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ უფლებათადამცველსა და ადვოკატს გელა ნიკოლეიშვილს ესაუბრა.***

# თუ მოსამართლე პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს 6 თვეზე მეტს მოაკლებს, სამსახურის დაკარგვა ემუქრება

– დღეს საქართველოში სასამართლო, როგორც ცალკე აღებული სისტემა, არ არსებობს. ეს არის სახელისუფლებო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და ასრულებს ყველა იმ შეკვეთას და დავალებას, რასაც პროკურატურიდან ღებულობს. ქართული სასამართლო ემყარება არა კანონს და საერთაშორისო ნორმებს, არამედ მხოლოდ ბრძანებით მიღებულ მითითებებს. სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა არსად არ არის, მაგრამ ის, რაც ხდება საქართველოში, არც საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა. ის 7 საქმე, რომელიც 2010 წელს გამართლებით დამთავრდა, აუცილებლად იქნებოდა პროკურორის თანხმობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამია ფხაკაძემ პირდაპირ განუცხადა მოსამართლეებს, რომ თუ ისინი პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს 6 თვეზე მეტს მოაკლებდნენ, სასამართლოს პროცესიდან კაბინეტში კი არა, პირდაპირ სახლში მოუწევდათ წასვლა, რადგან გათავისუფლებული იქნებოდნენ თანამდებობიდან.



**– ბატონო გელა, ნუთუ 12 ათას საქმეში დაცვის მხარემ ვერ შეძლო 7-ზე მეტზე პროკურატურის მტკიცებულებები გაებათილებინა? რამ განაპირობა ასეთი სტატისტიკა?**

– ეს არის კანონებით გამოწვეული. კანონები ფაქტობრივად გააუპატიურეს. სასამართლო პროცესებზე მუდმივად ცალ კარშია თამაში. ადვოკატებს იმის საშუალებაც კი მოუსპეს, რომ მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება შეძლონ. ახალი საპროცესო კოდექსმა, რომელიც 2010 წლიდან შევიდა ძალაში და რომელიც გაპიარებულია, თითქოს თანაბარი უფლებები მიენიჭათ ბრალდების და დაცვის მხარეებს და ა.შ რეალურად ადვოკატის მდგომარეობა გააუარესა. თუ აქამდე ადვოკატს შეეძლო დაეყენებინა შუამდგომლობა, ან თვითონ მოეპოვებინა მტკიცებულება, მაგალითად, სატელეფონო ზარების ამონაბეჭდის, ან ვიდეო თვალის მასალის ამოღება, ახალი კოდექსის თანახმად, ეს აღარ შეუძლია. ვთქვათ, ადვოკატს უნდა ვიდეოთვალით გადაღებული მასალით დაამტკიცოს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანი დანაშაულის დროს დანაშაულის ადგილიდან შორს იმყოფებოდა და არსებობს ამის ვიდეოჩანაწერი, ან ვთქვათ მობილური ტელეფონის ოპერატორები აფიქსირებენ ზარი რა ადგილიდან განხორციელდა, ადრე ადვოკატს ან თვითონ შეეძლო მოეპოვებინა ეს მასალა, ან მოსამართლესთან დააყენებდა შუამდგომლობას და მის ამოღებას სთხოვდა. მოსამართლეები ვალდებულები იყვნენ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებები გამოეთხოვათ. ახლა კი არა თუ ადვოკატს არ აქვს ასეთი მტკიცებულების მოპოვების უფლება, მოსამართლესთან შუამდგომლობის დაყენების უფლებაც კი წაართვეს. როცა ადვოკატი მოითხოვს რაიმე მტკიცებულებას, მოსამართლე უპასუხებს, რომ ამ კანონის მიხედვით, მას არ აქვს შუამდგომლობის დაყენების უფლება. არადა, სხვა, 39-ე მუხლში წერია, რომ სასამართლო ვალდებულია, დაეხმაროს მტკიცებულების მოპოვებაში. ამ დროს მოსამართლე გეუბნება, მტკიცებულების მოპოვების უფლება კი გაქვს, მაგრამ მისი ამოღების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება აღარ გაქვსო. მტკიცებულებების მოპოვების საქმეში ადვოკატი თავიდან ბოლომდე შეზღუდულია შესაბამისად ვერც ხარისხიანი დაცვას აწარმოებს. თუმცა ხარისხიანადაც რომ აწარმოოს და თვითონ მიიტანოს მის მიერ მოპოვებული ვიდეო, ფოტო, სატელეფონო მასალა, მოსამართლე არ იღებს. მაგალითისთვის მოგიყვანთ ძალიან გახმაურებულ, ვეტერანთა აქციის მონაწილეების დაკავების საქმეს. არაერთი ვიდეოჩანაწერი არსებობდა ოპერატორების მიერ გადაღებული, ჩვენ ეს ჩანაწერები სასამართლო პროცესზე წარვადგინეთ, მაგრამ მოსამართლემ ესეც კი არ მიიღო. ის ამბობს: მე არ მაინტერესებს, რა იყო სინამდვილეში, მე მაინტერესებს, რას ამბობს ბრალდების მხარე და ბრალდების მხარეს თვალდახუჭული უწერს ხელს. ასეთ პირობებში როგორ შეიძლება რომელიმე ადვოკატმა გამარჯვებას მიაღწიოს ან გამართლებას, თუ არ იქნება პროკურატურის თანხმობა? ფაქტობრივად, ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ფეხბურთის თამაშის დროს მოთამაშეს ფეხებს და ხელებს გიკრავენ და გეუბნებიან, ხელფეხშეკრულმა ბურთი გაიტანე მეტოქის კარშიო. მაგრამ თუნდაც გაიტანო ბურთი, ისეთი მსაჯი გყავს, გოლს მაინც არ ჩაგითვლის...

**– 12 ათასი საქმიდან ხომ არ შეიძლებოდა ყველა პოლიტიკური საქმე ყოფილიყო. როგორც წესი, უმრავლესობა ისეთი საქმეა, რომელსაც პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. ხელისუფლება რატომ უნდა იყოს დაინტერესებული რიგითი მოქალაქის უსამართლოდ დასჯით?**

– სახელმწიფო პოლიტიკაში არ იგულისხმება მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტები და პოლიტიკური ოპოზიცია. მე როდესაც ვამბობ, რომ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, ვგულისხმობ იმას, რომ ეს მიმართულია თითოეული მოქალაქის დათრგუნვისკენ, დამორჩილებისკენ, დაბეჩავებისკენ, შიშის დათესვისკენ. აქედან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკური ოპონენტები არიან, თუ რიგითი მოქალქეები. ეს არის ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკა. ადამიანებს უნდა ეშინოდეთ. მათ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ისინი არიან დაუცველები და მას თუ რაიმეს თხოვნა ან რაიმეს მიღება უნდა, მხოლოდ სახელმწიფოს, ყოვლისშემძლე ჩინოვნიკებს უნდა სთხოვოს და არა კანონსა და სასამართლოს. მათ შეუძლიათ მკვლელობაში ბრალდებული ადამიანი საერთოდ გაათავისუფლონ საპროცესო გარიგებით, ხოლო ძალიან მცირე დანაშაულისთვის დაპატიმრებული ადამიანი, რომელსაც საპროცესო გარიგებისთვის საჭირო თანხა არ აქვს, მრავალი წლით გამოკეტონ ციხეში. არის შემთხვევები, როდესაც გადაცდომაც არ აქვთ და იარაღსა და ნარკოტიკს უდებენ, რათა შემდგომ დანაშაული დააბრალონ. ასეთი ადამიანები ჰყავთ როგორც მძევლები. როგორც მოგეხსენებათ, მძევლებს გამოსასყიდს სთხოვენ. სწორედ ამ გამოსასყიდით ივსება ბიუჯეტი.

ერთი სიტყვით, ამ სტრატეგიას რამდენიმე მიზანი აქვს: ერთი მხრივ, საზოგადოების დაშინება, რათა ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეძლონ. მეორე მხრივ – ბიუჯეტის შევსება.

№ 10. სამშაბათი, 18 იანვარი, 2011 წელი.

აქ „სამოთხეს“ ყიდიან

# „ლიხნის კრება“ რუსების წინააღმდეგ

(მესამე გვერდიდან)

ვითარება რთულდება და აფხაზეთში „ლიხნის კრება“ შეკრებას გეგმავს, ამბობენ – შემოდგომაზეაო. პირველი დიდი სახალხო შეკრება ლიხნში 1861 წელს გაიმართა, რომელიც შემდეგ ანტირუსულ აჯანყებაში გადაიზარდა, ბოლო შეხვედრა კი, აფხაზეთის ომის წინ – 1989 წელს მოეწყო. სწორედ 80-იანი წლების შეკრებაზე მიიღეს საბედისწერო გადაწყვეტილება აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ – რომ აფხაზეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით შესულიყო. ამ წერილს ხელი ცნობილი აფხაზების უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბორის ადლეიბამაც მოაწერა. 1989 წლის 14-17 ივლისს ქართველები და აფხაზები ერთმანეთს შეეჯახნენ და აფხაზებმა ვოვა ვეკუა, რომელიც აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლირსეული წარმომადგენელი იყო, ცემით მოკლეს..

ლიხნის კრებაზე განხილვის მთავარი თემა ამჟამად, აფხაზეთში რუსების მიერ ქონების მითვისების საკითხი იქნება, რაც მოსახლეობაში სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. კრების წევრები, სავარაუდოდ, დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის მიმართ უკმაყოფილებასაც გამოხატავენ. „ლიხნის კრებაზე“ აფხაზი ავტორიტეტები და გვარების თავკაცები იკრიბებიან. „ლიხნის კრების“ ერთ-ერთი შედეგი 90-იან წლებში აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებაც იყო.

უხუცესები რეგიონში რუსულ კოლონილიზატორულ პოლიტიკას გააპროტესტებენ. ამასთან, უხუცესები საგანგებო განცხადებას მიიღებენ და დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ, შეწყდეს რუსებისთვის აფხაზეთის გადაცემის პროცესი.

სოფელ ლიხნში აფხაზი უხუცესების შეკრების შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიაც ადასტურებს. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ყრილობას, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა ეს შეხვედრა უმნიშვნელოვანესია, სადაც აფხაზი უხუცესები პირველად საჯაროდ გამოხატავენ პროტესტს რეგიონში მიმდინარე ასიმილაციის პროცესის გამო.

ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლება ყველაფერს ცდილობს, რათა შეხვედრა არ შედგეს.

აფხაზეთში უხუცესების შეკრებას რამდენიმე წყარო ადასტურებს, მათ შორის – ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, მათი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა საქმის კურსშია, და რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა შეკრება არ შედგეს. ბოლო დროს აფხაზეთში გავრცელდა აზრი, რომ რუსეთი ხანძრების შედეგად დაზარალებულების ჩამოსახლებას გეგმავს და აფხაზი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, ეს დაუშვებელია.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ აღნიშნა, რომ ეს სახლები და მიწა საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაა, მათი გაყიდვა უკანონოდ ხდება. ამის მიუხედავად, აფხაზური მხარე მაინც საბჭოთა კავშირის დროს მიღებული კანონის მიხედვით მოქმედებს, რაც უსისხლო გენოციდის მცდელობაა.

აფხაზური წყაროები ლიხნის კრებას უკავშირებენ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში ალექსანდრე ანქვაბის სახლისთვის ნაღმტყორცნიდან ცეცხლის გახსნას, რის შედეგადაც აფხაზეთის დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტი ხელსა და ფეხში დაიჭრა. ეს ანქვაბზე უკვე მეოთხე თავდასხმაა. მისი ლიკვიდაცია 2005 წელს ორჯერ სცადეს, 2007 წელს კი, ლიხნშივე მის „ჯიპს“ ნაღმტყორცნიდან ესროლეს, ანქვაბი მაშინ კისერში დაიჭრა.



მარიონეტული რეჟიმის რუსი მფარველები შიშობენ, რომ ეს კრება ანტირუსულ ხასიათს მიიღებს, რაც მოსკოვისთვის დიდი პროპაგანდისტული დარტყმა იქნება.

ვრცელდება ხმა, თითქოსდა, ლიხნის კრების უკან ქართული სპეცსამსახურები დგანან. ნიადაგი უკვე შეამზადა მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა – ტერაქტი იმან მოაწყო, ვისაც აფხაზეთში დესტაბილიზაცია აძლევს ხელსო...

პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ანქვაბი არის “მკაცრი და რკინის ხელის კაცი,“ რომელიც აფხაზეთში გულწრფელად ებრძვის კორუფციას. ის არ არის დემოკრატი, მაგრამ ითვლება პრინციპულად. ის არ არის ანტირუსი, მაგრამ არც არაფერს უთმობს მათ, განსაკუთრებით იმას, რაც აფხაზურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. „ანქვაბი პატიოსანი ადამიანია და აფხაზი ხალხი მის გაპრეზიდენტებას აუცილებლად შეეცდება...“

ამ თავდასხმების უკან, ცხადია, რუსეთი მოიაზრება, ლიხნის შეკრება ხომ სწორედ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ექსპერტ მამუკა არეშიძის აზრით, ლიხნის კრება არ არის საკანონმდებლო ფუნქციის ორგანო, მაგრამ იმ საკითხებს განიხილავს, რომლებიც აფხაზურ საზოგადოებას აწუხებს – განწყობა, საზოგადოებრივი აზრი იქმნება. ამის მერე აფხაზური ხელისუფლებისთვის ძალიან რთული იქნება, რომ ამ აზრს გადაუხვიოს.

**ნატა ნიბლაძე**

წარსულზე თვალის გადავლება

(მესამე გვერდიდან)

არ ვიცი ამიტომ თუ იმიტომ, 2010 წელი დედაქალაქელებმა საგანგებო ხმაურით, ნაირ-ნაირი იარაღების სროლით გააცილეს. იარაღის სროლისა და ხმაურის ეს უკვდავი ქართული ტრადიცია წლითიწლობით ძლიერდება და მისი აღმავლობის მომსწრენი გავხდით აწ უკვე გასული წლის 31 დეკემბრის ღამეს. ნეტავ მსროლელებს რა უნდოდათ ამით ეთქვათ, უჟმური 2010 წელი განდევნეს თუ, 2011 წლის შემოსვლას დაუხვდნენ მედგრად? ყოველ შემთხვევაში ,აღვნიშნოთ ეს გადაჭარბებული აღფრთოვანებაც... მაგრამ ნუთუ ჩვენ დავკარგეთ თანაგრძნობისა და თანადგომის ტრადიცია, ნუთუ ახალი წლის მოსვლა იმდენად დიდი და საოცარი ფასეულობა იყო, რომელსაც შეეძლო გადაეფარა საქართველოს ორ სამამულო ომის ცხელ ტყვიებს გადარჩენილი ეკონომიური სიდუხჭირით და მთავრობის უყურადღებობით დათრგუნული ვეტერანების ჯგუფის აქცია გმირთა მოედანზე? ამ ფაქტმა 90-იანი წლების დასაწყისი მომაგონა... ნუთუ ჩვენ ერთმანეთისთვის სხვები ვართ, „სხვისი ჭირი ღობის ჩხირად“ მიგვიჩნევია? შედეგიც გვაქვს: ისევ დარბევა, ისევ ძალადობა, უყურადღებობა და უგულებელყოფა. ვფიქრობ, საზოგადოებას, მეტი გულისყურით რომ გადაეხედა ამ აქციისთვის და გვერდში დადგომოდა ვეტერანებს, დამრბევი გუნდი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, პოლიცია, თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ მთლიანად მთელი მთავრობა, იმ სიუხეშეს და სიტლანქეს, რაც ჩაიდინეს, ახლა მაინც ვერ გაბედავდნენ.

იმიტომ კი არა, რომ ზნე შეიცვალეს (კარგად გვახსოვს მათი ხელწერა!ძ, არამედ იმიტომ, რომ ახლა უფრო დაბეჯითებით ცდილობენ მსოფლიოს თვალში დემოკრატიულ სახელმწიფოდ წარმოჩენას, სახელმწიფოს, რომელსაც ახალი ფორმაციის ამ რთულ გზაზე ჰქონდა გარკვეული შეცდომები, როგორც ჯერ კიდევ ახალგაზრდას და წელგაუმაგრებელს. გავიდა დრო. ახლა ხომ ბევრი რამ უნდა ესწავლათ,ახლა ხომ უმტკიცებდნენ ამერიკას და ევროპას როგორ არიან შესულნი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმაში და ასე შემდეგ, მაგრამ ,განა შესაძლებელია კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე არ წარმოდინდეს? ასეა. იგივე წარმოდინდება, სწორედაც... თავი ვერ შეიკავეს, ამ მცირე ჯგუფს როგორ ვერ „მივხედავთო“, ვინ გაგვიგებსო და ამ მართალ, პატივსაცემ ხალხს დაერივნენ. იქ, ახალგაზრდა ქალს სახეში უთავაზეს, რატომ გულშემატკივრობ ამათო...

მაინც, გასაკვირია რას ერჩოდნენ გმირთა მოედნის ერთ კუთხეში მიმსხდარ, სამშობლოს სისხლში განბანილ ახლაც არა მარტო საკუთარი, არამედ ქვეყნის და ხალხის ბედ-იღბლით შეწუხებულ, მოშიმშილე ვაჟკაცებს. ალბათ იმას, რომ როგორ თუ ხალხის ტკივილი გტკივათ, როგორ თუ თავი გამოიდეთ მათთვის, რა თქვენი საქმეაო...

ხალხის ტკივილი, შიმშილი და გაჭირვება უფრო დიდია, მაგრამ ზოგჯერ საკუთარი გაჭირვებაც წყობიდან გამოგიყვანს ადამიანს. და განა ამ დროს უფლება არა გვაქვს წამოიძახო, ასეთი მწირი ცხოვრების ღირსი არა ვარ და მომხედეო? არა თურმე! ზემოთ მჯდომ მომხედავს და „პატრონს“, როცა მოაგონდები, როცა მის მიერ დაგეგმილ დროში ჩაჯდები, თუ ხასიათზე იქნა გადმოგხედავს, მოხედვისა კი რა მოგახსენო! და აი, გადმოხედეს: შიმშილისათვის შიმშილით წამებულნი,ოთხას-ოთხასი ლარით დააჯარიმეს. ჭაბუა ამირეჯიბის სეთური და ასინეთა გამახსენდა. სავსეა ჩვენი ცხოვრება ასეთი „გმირებით“ გათამაშებული ეპიზოდებით... ნუთუ ეს უკვდავი ნაწარმოები კაცთა ცხოვრების უცვლელი ძარღვაა? თუ მაინცდამაინც ქართველებს გვჭირს ეს უბედურება, სკამი გვავიწყებს ქვეყანასაც, ხალხსაც და ამ სკამზე შემოჯდომის მიზანსაც.

დიახ, შევეცადოთ ძვირფასო მკითხველო, დავინახოთ ავიც, კარგიც და ვისაუბროთ პირუთვნელად, თუმცა, როგორც ვთქვით, ავს რომ ავი დაარქვა და კარგს კარგი, არც ისე ადვილია...

რა მოხდა იმ წელს კარგი? ის ხომ არა, ქუთაისში რომ დაანგრიეს ფაშიზმზე გამარჯვების მონუმენტი? იქნებ ეს მონუმენტი მართლაც ძველმოდური იყო, მაგრამ ნუთუ სახელოვანი მხატვრის შემოქმედებას საქართველოში არავითარი ღირებულება არა აქვს? ხომ ვიცით, რომ დიდი მხატვრების მიერ ტილოზე გავლებული ბუნებრივი ხაზიც კი ცივილიზებულ ქვეყნებში საოცრად დიდ მნიშვნელობას იძენს და მას ისტორიულ და ხელშეუხებელ ძეგლად აღიარებენ? ჩვენ (თუ ამათ?ძ კი რა დაგვემართა, ორი უმწიკვლო ადამიანის სიცოცხლეც რომ შევწირეთ, მეტი რომ არა ვთქვათ რა, ასეთ გაურკვევლობას? ეს ხომ გამოუსწორებელი საშინელებაა!, აგრეთვე ამ მოქმედებით უგულებელყვეს და შეურაცხყვეს მხატვარ-მონუმენტალისტი. მაგრამ კარგია,რომ ქუთაისშივე შენდება გრანდიოზული შენობა პარლამენტისთვის, ის ხომ საბოლოოდ ქალაქ ქუთაისს დარჩება და გარდა ამისა, დიდი იმედი აქვს საზოგადოებას მომავალი თაობისა... ისინი ამ სასახლეს უფრო კეთილშობილური მიზნებისთვის გამოიყენებენ... თუმცა მომავალი თაობა, ვფიქრობ, უმძიმესი გამოცდის წინაშე დგას.. მათ, გასულ წელს, განათლების რეფორმების მოტივით, ერთი მეტად უცნაური და უცხო რამ შეემატათ, მანდატურებად შერაცხული მეურვე-პოლიციელები დაუყენეს და თუ საქართველოს ყველა სკოლაში მიმართულება „მანდატურიზმი“ გავრცელდა, ნიჭიერ პედაგოგ- მეცნიერთა საკმაოდ დიდი საკრებულოს აზრით, მაინცდამაინც ვერაფერ შვილ სრულფასოვან თაობას ვერ მივიღებთ. როგორც ისინი ირწმუნებიან ბავშვის აღზრდაში, პირველ ოთხ წელიწადს მაინც, მხოლოდ ერთ აღმზრდელ პედაგოგს შეუძლია ბავშვის გრძნობა-გონებაზე დადებითად იმოქმედოს. ერთი აღმზრდელის ჩანაცვლება რამდენიმეთი, მით უფრო რაღაც სრულიად უცხო სახელწოდებული პირით (ახლა მანდატური მოვიდა და ვაი შენს დღესო!ძ ვერ იქონიებს სასიკეთო გავლენას ბავშვის სათუთ ბუნებაზე და შემდგომ კლასებშიც თითოეული საგნის პედაგოგი უნდა იყოს პასუხისმგებელი არა მარტო თავისი საგნის წარმატებულ გადაცემაზე მოსწავლეთათვის, არამედ, მის მორალურ აღზრდა-განვითარებაზე. იმიტომ ეწოდება მას პედაგოგ-აღმზრდელი, მოსწავლეს კი – აღსაზრდელი. სკოლა ძალიან სათუთი ორგანიზმია, ამიტომ სჭირდება მას განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება, საუკეთესო პედაგოგიურ კადრზე ზრუნვა, სიყვარული, სითბო, დაუმადლებელი მატერიალური დახმარება და არა, შემთხვევითი, სკოლის არმცოდნე კადრის გაუანალიზებლად შეშვება მის ფაქიზ, სუფთა და გაკრიალებულ სამყაროში.

## საით მივყავართ ცხოვრებას?..



რაღა ბევრი გავაგრძელო და 2010 წელი ვერაფერი შვილი წელი ყოფილა, სამწუხაროდ. მაგრამ რა გველის ამ წელს, საკითხავი აი, ეს არის! ვერ დაიწყო ეს წელიც კარგად. საით მიდის ლარის კურსი. საით მივყავართ ჩვენ, ადამიანები ცხოვრებას (თუ ხელისუფლებასძ. ყოველდღე შიშით ვიღვიძებთ, თუ საქმე გვაქვს, წინასწარვე გვეშინია, დაგვხვდება თუ არა საჭირო ტრანსპორტი ადგილამდე მისასვლელად. თუ სამსახური გვაქვს, ღმერთის წყალობით, ახლა უკვე იმის გვეშინია სამსახურის კარებიც არ დაგვხვდეს დაკეტილ-დარაზული (ეშმაკის მანქანით!ძ

მართლაც გაურკვეველი ვარ და კიდევ ერთხელ ვკითხულობ: საით მივყავართ ცხოვრებას, თუ...

**გულნარა სტურუა**

ინფორმაცია

### ოკუპანტებმა ოთხი ოტობაიელი დააკავეს

**რუსმა ოკუპანტებმა მდ. ენგურზე გალის რაიონის სოფელ ოტობაიას ოთხი მკვიდრი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დაკავებულებს პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი თან არ ჰქონდათ. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას დაკავებულების ვინაობა არ კონკრეტდება.**

**დაკავებულები სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გალის რაიონის ე.წ. უშიშროების სამსახურის განყოფილებაში გადაიყვანეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## გულის ბუხარი

# ძალიან ნუ აიწევით, მაღლა ღმერთია!

## ანუ დარბეული და დაჯარიმებული პატრიოტები

**„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“, — ბრძანებს ჩვენი გენიოსი პოეტი და მართლაც: იმდენი სიავე, უბედურება, სიბილწე და ავკაცობა ხდება ამქვეყნად, რომ თითქოს არაფერმა არ უნდა გაგაკვირვოს, მით უმეტეს — არ აღგაშფოთოს! მაგრამ ადამიანის გული მაინც სხვანაირად სჯის თურმე, ანუ მას თავისი დაუწერელი, საკუთარი კანონები ამოქმედებს, განსაკუთრებით იმათთგან, რომლებიც ვერ კაცობენ, ანუ „კაცთაგან განაკიდი“ არიან.**

და მართლაც, „კაცთაგან განაკიდი“, ანუ უგულო, გულქვა უნდა ყოფილიყავი, რომ სამხედრო ვეტერანთა დარბევის და, რაც ყველაზე უფრო შემაძრწუნებელია, მანდილოსნისთვის ცხვირ-პირის დასისხლიანების სურათისთვის გეყურებინა და მშვიდი, აღუშფოთველი დარჩენილიყავი ყოველივე იმის მიმართ, რასაც სჩადიოდნენ პოლიციელები, პატრული თუ გადაცმული ზონდერ-ბრიგადები, საკუთარი მოქალაქეების მიმართ. ხომ თითქოს ყოველდღიურად შემსწრენი და თვითმხილველნი ვართ აღვირახსნილი უზნეობის, უკიდეგანო ცინიზმისა და გაუგონარი უსამართლობისა, მაგრამ, ვიმეორებ, 3 იანვრის მოშიმშილე ვეტერანების დარბევამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. არადა, რას ითხოვდნენ ისინი? უსამსახუროდ დარჩენილებს შიმშილისგან არ დახოცოდათ ცოლშვილი და კუთვნილი შეღავათები მიეღოთ. ეს იყო და ეს! ხელისუფლების მიერ გამართულ გრანდიოზულ შოუ-კონცერტებისა და პომპეზური სანახობების, ანუ მილიონობით დახარჯული თანხების ფონზე — ეს მოკრძალებული მოთხოვნა სავსებით კანონზომიერი გახლდათ, მაგრამ... ნორმალური ქვეყნისთვის იყო ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი ამბავი. მაგრამ ჩვენი ხელისუფლებისათვის ვეტერანთა მშვიდობიანი, უწყინარი აქცია საბაბი გახდა კვლავ (უკვე მერამდენედ!ძ გამოევლინებინა თავისი შეუწყნარებლობა და სისასტიკე საკუთარი ხალხის მიმართ და, რაც მთავარია, ქართველი ქალისადმი ოდითგან დამკვიდრებული პატივისცემა და მოკრძალება ასე უდიერად ფეხქვეშ გაეთელა. ანუ: უკვე მერამდენედ მიემართა დაშინების ნაცადი ხერხისათვის.

...ჩემი გონების დაფაზე უნებურად ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივდნენ სანაგვე ყუთში გადაყრილი ომში დაღუპული ბიჭების სურათებთან ერთად, ყველა ისინი, თავი რომ შესწირეს სამშობლოს — მოხალისეებად წასულებმა (ზოგ მათგანს ხომ პირადად ვიცნობდი კიდეც!ძ!

ის, რაც 3 იანვარს მოხდა, იყო არა მხოლოდ მიცვალებულთათვის, არამედ ცოცხლად დარჩენილთათვისაც სულში ჩაფურთხება. ამგვარი უმსგავსობა, მგონი, არც ახსოვს რომელიმე ქვეყნის ისტორიას!

აფერუმ ჩვენ, ქართველებო, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ მოწამეთა რიცხვით გამორჩეული ერი რომ ვართ, ვიღაც-ვიღაცების საამებლად ასე უმოწყალოდ გავაბიაბრუეთ ადამიანისათვის უწმინდესი გრძნობა. თევდორე მღვდელი ანდა ცოტნე დადიანი რომ გაცოცხლებულიყო, თურმე რა სიამოვნებითა და ნიშნისმოგებით შედგებოდნენ ზედ ეს ბულა-ბულა, ჩაკურატებული ჯეელები — მხოლოდ საკუთარი ადგილისა და ხელფასის შესანარჩუნებლად მხეცებად რომ ძალუძთ იქცნენ (რა თქმა უნდა, ეს ყველა პოლიციელს არ ეხება). აქ გამოდგებოდა კლიპი: „ბავშვებო, მოგვბაძეთ ჩვენ! თქვენ საყვარელ პოლიციას!“ საგულისხმო გახლავთ ის გარემოებაც, ხელისუფალთ და ე. წ. ძალოვან სტრუქტურებს — მატერიალურად თუ სულიერად ღატაკნი რომ მიუჩნევიათ სახელმწიფოს საყრდენად! (ისე, როგორც ცნობილია, რაც უფრო მეტად დაჩაჩანაკდებიან, დაიმშევიან, დაძაბუნდებიან ადამიანები, მით უფრო ადვილად ხდებიან ისინი სამართავნი!ძ. მართლაცდა, რის პატრიოტიზმი, რა — პატრიოტიზმი — „ვითომ რას გვავნებს უცხოტომობა“, მით უმეტეს, როცა პირად მერკანტულ დაინტერესებაზეა ლაპარაკი.



ფრანგი ფილოსოფოსი მონტესკიე ერთგან წერს: „მხოლოდ კუჭისთვის მზრუნველ ადამიანს ვერ მოსთხოვ მაღალ, ზნეობრივ იდეალებსო“: და მაინც: ადამიანი ამ მაღალი, ზნეობრივი იდეალებით განსხვავდება პირუტყვისგან — სხვათა შორის, სწორედ ეს მორალური კოდექსი ადამიანში იწვევდა კანტის განცვიფრებასაც!

დიახ, 3 იანვრის დარბევა მოულოდნელი და წარმოუდგენელი არც უნდა ყოფილიყო საზოგადოებისთვის, ვინაიდან არაკაცობის სხვა მრავალ შემთხვევებთან ერთად, ყველას გვახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ როგორ დაარბიეს კადეტთა კორპუსის მოსწავლეები მთავრობის სახლის წინ, ხოლო ერთმა მათგანმა, 16 წლის ბიჭმა — სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა — თავი მოიკლა კიდეც! ანდა, ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამარცხვინო ეგზეკუცია რად ღირს! შემდეგ არანაკლებ სამარცხვინო სასამართლო პროცესი, სადაც მთელი დარბაზი ხარხარებდა მოსამართლეთა „არგუმენტებზე“, როცა ყველას მიერ დავიწყებულ იქნა ჩვენი დიდი წინაპრის შეგონება: „ნუ ამრუდებ უმართლესსა ნუ წაიწყმედ ამით სულსაო!“ თუმცა სულის წაწყმედა რა მოსატანია, მაშინ, როცა ხელისუფლებაში ხარ! ანდა: როცა მოშიმშილეებს დილაუთენია თავს დაესხმები, ხოლო მშვიდობიან მომიტინგეებს სასტიკად გაუსწორდები, შემდეგ კი ამ „დიად გამარჯვებას“ ერთმანეთს მიულოცავენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ამის შემდეგ მართლაც რა უნდა გაუკვირდეს ადამიანს ამ ქვეყანაში (ისე, საინტერესოა, ვინმე ბეგიაშვილი — ამ „ბრწყინვალე“ გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი — საქართველოში აპირებს ნეტა ცხოვრებას? თუმცა, რატომაც არა! ასეთ კაცუნებს რისი უნდა შერცხვეთ? „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“-ო. დიახაც, კაცობამდე დიდი მანძილია თურმე გასავლელი)!

...9 აპრილის დამრბევნი ვიცოდით, რომ მტრები იყვნენ, დამპყრობლები, ოკუპანტები, მტერი კი იმის მტერია, რომ მტრობა გიყოს, მაგრამ შენი თვისტომი, ანუ შენიანი რომ ბარბაროსობით და სისასტიკით მომხვდურებს გადააჭარბებს, ამასთან იზეიმებს საკუთარ ხალხზე გამარჯვებას — ეს გახლავთ სწორედ სავალალო და თავზარდამცემი, ამასთან, სტიმულის მიმცემიც შემდგომი დარბევებისთვის, მათ შორის, 3 იანვრის მართლაც უპრეცედენტო ცემა-ტყეპისთვის: ან: ვინც შესწრებია და თავისი თვალით უნახავს რა დაუნდობლად, რა მძვინვარედ ექცეოდნენ საცხოვრებელი სახლებიდან გამოყრილ დევნილებს 2010 წლის ზაფხულში, მანამდე თუნდაც სასტუმრო „აჭარიდან“ გამოძევებულ, ისედაც ტრავმირებულ მოხუცებს და ქალებს, შეძრწუნებული იფიქრებდი — ასე შემოსეული თურქ-სელჯუკები თუ გაუსწრდებოდნენ გასაცოდავებულ დევნილებსო.

და მაინც: რამ შეაძულა ხელისუფლებას ასე საკუთარი ხალხი, იმავე ხალხის დიდი ნაწილისგან არჩეულად რომ მიიჩნევს თავის თავს? „უნახავმა რა ნახაოს“ სინდრომი ხომ არ სჭირთ? საერთოდაც ცნობილია, რომ ნუვორიშებს ახასიათებთ ხოლმე ქედმაღლობა და დიდგულობა, თავგასულობა და ცინიზმი — „პლებსის“ მიმართ — საკუთარი „პატრიციობის“ დასადასტურებლად!

ცინიზმის, ასე ვთქვათ, კლასიკურ ნიმუშად მაინც ის სასამართლო ფარსი უნდა მივიჩნიოთ, მოშიმშილე და დარბეული ვეტერანები ოთხასი ლარით რომ დააჯარიმა! ამას ჰქვია: „სამართალმა პური ჭამაო“. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიძს ხმელსა ნედლად“-ო, აკი რუსთაველმაც ასე დაგვმოძღვრა, ანუ: მართალი სამართალი ღარიბს მდიდრად აქცევსო! აკი ასე „მოიქცნენ“ ჩვენი მოსამართლეებიც!

ისე, ცინიზმს და ფარისევლობას საზღვარი რომ არა აქვს, აფხაზეთის მთავრობის მეთაურის გ. ბარამიას საქციელიდანაც მკაფიოდ გამოჩნდა. მთავრობის „მეთაურმა“ ნაცვლად იმისა, რომ მისულიყო მოშიმშილე ვეტერანებთან, რომლებიც მისგან განსხვავებით — როცა სამშობლოს უჭირდა — ტყვიებს უშვერდნენ მკერდს — მოეკითხა ისინი, საქმის ვითარებას გასცნობოდა, შეძლებისამებრ. დახმარებას შეპირებოდა, პირიქით, ამჯობინა შეურაცხყოფა მიეყენებინა მათი ღირსებისთვის, შემდეგ კი პატრიარქთან მიბრძანებულიყო — მისალოცად! შემხედეთ, რა ღვთისნიერი, რა გულმოწყალე ქრისტიანი ვარო (სხვათა შორის, სწორედ ასეთ ფარისევლებს უწოდებდა იესო ქრისტე — „იქედნეს ნაშობთ!“ძ თუმცა... დარწმუნებული ვარ, გ. ბარამიას ერთხელაც არ ჩაუკრავს თვალი სახარებისთვის!

და კიდევ: სოხუმელმა ქალბატონმა ნანა ფიფიამ იმის გამო, რომ ისედაც შეჭირვებულს, უფლებააყრილს, და ტრავმირებულს კიდევ ერთხელ შეულახეს ღირსება. უკიდურეს ზომას მიმართა და თავი დაიწვა — ჩემი სიკვდილით იქნებ დანარჩენებს ეშველოსო, ამ სვეგამწარებული ქალის გასვენებაში მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა. ხოლო სუბელიანს და ბარამიას სამძიმარზეც არ შეუწუხებიათ თავი. თუმცა ესეც კია: რა პირით უნდა გამოცხადებულიყვნენ იქ!

ნათქვამია: „ძალიან ნუ აიწევი, მაღლა ღმერთია“. ამასთან: „მიმდოზნი საწუთროსანი, მისთა ნივთაგან რჩებიან. იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩენიანო“. გამგეები გაიგებს ამ რუსთველურ სიბრძნეს, ხოლო იმათზე, ვისაც არ ძალუძს გაგება, ნათქვამია: საქმე უსამართლო: „...ღმერთმან ვისმეცა შეარჩინა?“

**ციალა არდაშელია.**

*P. S.* ***კაცობა, ანუ კაცი ხარ, ადამიანი თუ არაკაცი — ყოველთვის, ყოველ დროსა და ეპოქაში უმთავრესი პრობლემა გახლდათ კაცობრიობისთვის.***

***რასაკვირველია, ვინმესთვის ჭკუის სწავლებისგან შორს ვარ. ღმერთმა იცოდეს, მე მხოლოდ ჩემი მართლაც ბედკრული სამშობლოს, ჩვენი სვეგამწარებული ერის სატკივარი მტკივა, საერთოდ, ყოველგვარი უაზრო მიბაძვა მიუღებლად მიმაჩნია და ამის გამო შესაძლოა მკვეთრი და დაურიდებელი ტონით ვლაპარაკობ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მე მაინც მჯერა და მწამს, რომ ჩვენში კაცობა დეფიციტი არ გახდება და იგი დიოგენეს ფანრით საძებარი არ შეიქმნება. ისიც მწამს და მჯერა, რომ ისინი, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუგნებლად ჩადიან ბოროტებას საკუთარი ხალხის მიმართ — გონს მოეგებიან, სინანულის გრძნობა გაიღვიძებს მათში და მოინანიებენ თავის უკეთურ საქციელს, ანუ: უპირატესობას მიანიჭებენ კაცობას და არა — კაცუნობას!***

***იმედი და რწმენა ნუ მოგვიშალოს უფალმა!***

***ამინ!***

***ც. ა.***

## ინფორმაცია

### ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში მედიატორობას არ ვაპირებთო

**საქართველოს საქმეთა სამინისტრო ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში შუამავლის როლის შესრულებასთან დაკავშირებით მზადყოფნას უარყოფს.**

**— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება არ მომისმენია, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, მასში მედიატორის როლზე საუბარი არ ყოფილა, — განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ჟურნალისტებს გრიგოლ ვაშაძის მიერ აზერბაიჯანული ტელეკომპანიებისთვის მიცემულ ინტერვიუზე კომენტირებისას. ამასთან, კალანდაძის განმარტებით, ყველა კონფლიქტური კერა რეგიონის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის და, შესაბამისად, რაც უფრო სწრაფად გადაიჭრება ის, მით უკეთესია.**

### აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 14 ტრილიონი შეადგინა

**აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის სახელმწიფო ვალმა 2011 წლის დასაწყისში რეკორდულ მაჩვენებელს — 14 ტრილიონ დოლარს მიაღწია.**

**მარტის ბოლოსთვის ვალის გაზრდა კიდევ 300 მლრდ. დოლარითაა მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში ქვეყნის სახელმწიფო ვალი დადგენილ ზღვრულ ოდენობას მიაღწევს.**

**თუკი დავალიანება დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს, ქვეყანას ისტორიაში პირველად დეფოლტი ელოდება.**

**როგორც აშშ-ის ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ბოლო 6 წლის განმავლობაში ქვეყნის სახელმწიფო ვალი 2-ჯერ გაიზარდა, 2005 წლის იანვარში კი აშშ-ის სახელმწიფო ვალი 7 ტრილიონი დოლარი იყო.**

**უახლოეს დღეებში აშშ-ის კონგრესი სპეციალურ სხდომას მიუძღვნის სახელმწიფო ვალის საკითხს. კონგრესმენებმა უნდა გადაწყვიტონ, გაზარდონ თუ არა ზღვარის ლიმიტი, თუ შეამცირონ სახელმწიფო ხარჯები.**

**ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ტიმოტი გაიტნერმა კონგრესს სახელმწიფო ვალის ზღვარის გაზრდისკენ მოუწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მინისტრი აცხადებს, რომ აღნიშნული პროცესი შეეხება მილიონობით ამერიკელის სამუშაო ადგილს, რაც ქვეყნის ისტორიაში პირველი დეფოლტის შედეგი იქნება.**

### დევნილთა საკუთრებაში გადავიდა

**დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა გრძელდება. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა მიიღეს. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მათ პირადად მინისტრმა კობა სუბელიანმა მიუტანა.**

**ვაზისუბნის მე-3 მ/რ-ში, მე-2 კვარტალში, ყოფილი 157-ე ბაგა-ბაღის შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 31 ოჯახი (77 ადამიანი) ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებულ პირებს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გადაეცათ.**

**მინისტრის თქმით კი თბილისში საკუთრებაში ბინა სულ 22 000-მა ოჯახმა მიიღო: —აფხაზეთიდან დევნილი 10 ათასი ოჯახი თბილისში უკვე საკუთრების მფლობელია. საკუთრების მოწმობები კიდევ 31 ოჯახს გადავეცით. ისინი უკვე მესაკუთრეები არიან. თბილისის ტერიტორიაზე კი ეს არის 10 ათასზე მეტი ოჯახი, დაახლოებით 40-50 ათასი სული. ეს ადამიანები დაბრუნებამდე მშვიდად იცხოვრებენ და როცა დაბრუნდებიან, შეეძლებათ ეს ქონება გაყიდონ და ხელცარიელები არ დაბრუნდნენ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## თარიღი

*ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში, 1985 წლის მიწურულს, თბილისში, შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემოს დაცვის ეკოლოგიური ცენტრი“ (რომელსაც ქვემოთ მოკლედ ეკოცენტრად მოვიხსენიებთ). მან თავიდანვე ფართოსპექტრიანი ამოცანები დაისახა: საქართველოში, უფრო ზოგადად, კავკასიაშიც, გარემოს დაცვა, ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირება და ამ მოვლენების წინააღმდეგ ახალი საინჟინრო ეკოლოგიური ღონისძიებების დამუშავება, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პროექტირება, მცირე ჰესების, ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიების, კლიმატის გლობალური ცვლილების გათვალისწინებით ნიადაგისა და წყლის რესურსების დაცვის ეფექტიან ღონისძიებათა კვლევა და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლება.*

*ხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას ახლახან დაარსებიდან ლამაზი თარიღი — 25 წელი შეუსრულდა. სწორედ იუბილესთან დაკავშირებით ვესტუმრეთ და ვესაუბრეთ ეკოცენტრის დირექტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსსა და ფაზისის საერო აკადემიის თანაპრეზიდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი გავარდაშვილს.*

# ეკოცენტრის ახალი წარმატების იმედით, თანაც - საფუძვლიანად

**— ბატონო გივი, მოდით, პირველ რიგში ორიოდე სიტყვით ვუამბოთ მკითხველს იმაზე, თუ როგორ იწყებოდა ეკოცენტრის „ბიოგრაფია“...**

— წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის (საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი მაშინდელი საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) ბაზაზე 1985 წელს ჩამოყალიბდა კოოპერატივი „ჰიდროტექნიკოსი“, რომლის პირველი დირექტორი გახლდათ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აწ განსვენებული ფრიდონ შატბერაშვილი. შემდეგ კოოპერატივი გადაკეთდა საზოგადოებრივ ორგანიზაციად „წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებისაგან გარემოს დაცვის ეკოცენტრი“, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კავკასიაში ბუნების სტიქიური მოვლენების საკითხებში გაეროს ექსპერტი ცოტნე მირცხულავა, ხოლო თანახელმძღვანელად — პროფესორი ოთარ სიჭინავა. სამწუხაროდ, ორივე ცნობილი მეცნიერი გარდაცვლილია.

შარშან ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ხელმეორედ გავატარეთ რეგისტრაციაში, როგორც არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი — გარემოს დაცვის ეკოცენტრი.

**— როგორია ამ არასამთავრობო ორგანიზაციის სტრუქტურა, თანამშრომელთა სახით ვინ შედის მასში?**

— ეკოცენტრს ჰყავს ადმინისტრაცია, დამფუძნებელთა 10-კაციანი გუნდი და ორი ჯგუფი — სამეცნიერო-კვლევითი, რომელსაც უძღვება ტექნიკის აკადემიური დოქტორი გოგა ჩახაია და საპროექტო-საძიებო, რომლის სათავეშია ტექნიკის აკადემიური დოქტორი ლევან წულუკიძე.

მეცნიერ-კონსულტანტად თანამშრომლობს ეკოცენტრთან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთი აკადემიკოსი, მუშაობენ აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთი წევრ-კორესპონდენტი, 4 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 20-მდე აკადემიური დოქტორი, 4 დოქტორანტი, 5 მაგისტრი...



**სურათზე: აზერბაიჯანში ნორვეგიის საელჩოში მიღებაზე. მარჯვნიდან, ტელმან ზეინალოვი, პროფესორი, აზერბაიჯანის ეროვნული ეკოლოგიური პროგნოზირების ცენტრის პრეზიდენტი, ნორვეგიის ელჩი აზერბაიჯანში ბატონი ჯონ რამბერგი, პროფესორი გივი გავარდაშვილი. ბაქო, 2010 წ.**

**— ბატონო გივი, ალბათ უკვე შეიძლება ჩამოთვლა ქვეყნის სასარგებლოდ ეკოცენტრში შესრულებული პროექტებისა და ეგებ პრაქტიკაში განხორციელებულისაც?**

— თავიდანვე უნდა განვაცხადო სრულიად გაუზვიადებლად: ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაცია როგორც მეცნიერული, ისე საპროექტო თუ საექსპერტო თვალსაზრისით, მაღალია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით.

აი ჩამონათვალი, თანაც შესაბამისი დათარიღებით, ჩვენთან მომზადებული და უკვე რეალიზებული პროექტებისა: დუშეთის რაიონში ხარხეთის ხევის კალაპოტის რეგულირება (დამფინანსებელი — საქართველოს სახელმწიფო მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი, 1987 წ.); ღვარცოფებისგან შიომღვიმის მონასტრის დაცვა (საქართველოს რესტავრაციის ინსტიტუტი, 1987 წ.; მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადის, მდინარე ყუროს კალაპოტქვეშ გამავალი მაგისტრალური გაზსადენის დაცვა ღვარცოფებისაგან (საქტრანსგაზის დეპარტამენტი, 1995 წ.; აბაშის ტერიტორიის დაცვა მდინარე აბაშისწყლის კალაპოტში ფორმირებული წყალდიდობებისაგან (საქწყალექსპლუატაციის სამინისტრო, 1999 წ.; ყაზახეთში თენგიზის ნავთობმომპოვებელი ტერიტორიების დაცვა კასპიის ზღვის შტორმების დროს წარმოშობილი წყალდიდობებისგან (ყაზახეთის ნავთობისა და გაზის სამინისტრო, 2000 წ.; მდინარე არაგვის წყალშემკრებ აუზში განთავსებული ტერიტორიის მდგრადი განვითარების მოდელის დამუშავება (ფონდი „ჰორიზონტი“, 2003 წ.; შიომღვიმის მონასტერთან ხევის კალაპოტის რეგულირების მომზადება (ბანკი „რესპუბლიკა“, 2007 წ.; მდინარე ცხენისწყალზე ფორმირებული წყალდიდობებისაგან ცაგერის რაიონის სოფელ ჭალისთავის ტერიტორიების დასაცავად ქვის დეზების დაგეგმარება (შვეიცარიის განვითარებისა და დახმარების სააგენტო SDC, 2009 წ.; იმავე საფრთხისაგან ლენტეხის რაიონის სოფელ რცხმელურას საშუალო სკოლის დასაცავად ხვირის დაგეგმარება და სხვა.

**— შთამბეჭდავი ჩამონათვალია, ვერაფერს იტყვი... თანაც პროექტების სარგებლიანობის მასშტაბები სცილდება საქართველოს ფარგლებს... ამჟამად ვინ არიან თქვენი საქმიანი პარტნიორები?**

— საქართველოში ესენი არიან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გაეროს საქართველოს ოფისი ბუნების სტიქიური მოვლენების საკითხებში, შპს „გარემოს დაცვის გეოლოგიური სააგენტო“, ფირმა „გამა“, აზერბაიჯანის ეროვნული ეკოლოგიური პროგნოზირების ცენტრი, სომხეთის „საინჟინრო ლიგა“, პარიზში ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციათა სააგენტო.

**— კვლავ მომნუსხავი ნუსხაა, ბატონო გივი, კვლავ ფართო მასშტაბები და გილოცავთ კიდევაც... თქვენ, ფაქტობრივად, ეკოცენტრის ასე ნაყოფიერი მუშაობის ანგარიში გამოგვივიდათ; რაკი ახალი წელი დაგვიდგა, მოდით, მომავალზეც გვიამბეთ...**

— წლეულს, აპრილში, ვაშინგტონში დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა ჩვენსა და მერილენდის უნივერსიტეტის ტექნოლოგიისა და რისკების სისტემური მენეჯმენტის ცენტრს შორის, ხოლო მაისში კი — ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტში არსებულ გარემოს დაცვის არასამთავრობო ეკოლოგიურ ორგანიზაციასთან.

ახლა ჩვენს ეკოცენტრში ახალ პროექტებზე ვმუშაობთ, რა თქმა უნდა. განზრახული გვაქვს წლეულს მონაწილეობა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და ღვთის შეწევნით, ვიმედოვნებთ კიდევაც წარმატებას.

**— რასაც გისურვებთ კიდევაც „სრ“-ის სახელით, რომლის ფურცლებზეც თქვენ ყოველთვის სასურველი სტუმარი ბრძანდებით!**

**თამაზ ეზანოიძე**

## SIC!

# იმათ საყურადღებოდ, ვისაც აზარტული და მომგებიანი თამაშები გიყვართ...

**ორი დღის წინათ ძალაში შევიდა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის ახალი ბრძანება, რომელიც აზარტული თამაშების მომწყობებს ახალ ვალდებულებებს აკისრებს.**

ახალი ვალდებულებები ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟებას უკავშირდება. საუბარია ვიდეოთვალთვალის აპარატურის მიერ ჩაწერილი მასალის გარჩევადობაზე.



ახალი წესების მიხედვით, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით არის განსაზღვრული, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზატორი ვალდებული იქნება, ჰქონდეს ისეთი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩაწერილი ინფორმაციის გადატანას ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე, გამოსახულების ხარისხის დანაკარგის გარეშე.

თუკი აქამდე ვიდეოკამერის ჩაწერის ხარისხში ვიდეოგარჩევადობა 640X480 პიქსელი უნდა ყოფილიყო, ახლა ჩანაწერის გარჩევადობა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი (2048X1536A) უნდა იყოს. გარდა ამისა, დღე-ღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი უნდა იძლეოდეს ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას. ასევე, ვიდეოთვალთვალის აპარატურას ISO სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს.

ახალი წესებისვე მიხედვით, რომლებიც სამ დღეში უნდა ამოქმედდეს, სავალდებულო იქნება, აზარტული თამაშის ადგილის გარე პერიმეტრზე დამონტაჟდეს არანაკლებ 2 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა იმ ადგილებზე, სადაც ეს შეუძლებელია — ერთი ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. ხოლო სათადარიგო გასასვლელების არსებობის შემთხვევაში — თითო ვიდეომეთვალყურეობის სისტემა თითო გასასვლელზე.

რაც მთავარია, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, მეპატრონესთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შესაბამისი აქტი უნდა გაფორმდეს და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით უნდა დამონტაჟდეს.

## ინფორმაცია

### ნემცოვი კვლავ აქციებით იმუქრება

**გათავისუფლებული რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი კვლავ აქციებისთვის ემზადება. ნემცოვი აცხადებს, რომ კვლავ აპირებს მიტინგის გამართვას 31 იანვარს ტრიუმფალურ მოედანზე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას რუსული მედია აღნიშნავს, რომ ბორის ნემცოვს საზღვარგარეთიდან დაფინანსებაში ადანაშაულებენ, რაც რუსული კანონმდებლობით აკრძალულია.**



**აღსანიშნავია, რომ ბორის ნემცოვის დაფინანსებით შესაძლოა მალე რუსეთის გენპროკურატურა დაინტერესდეს. რუსეთის დუმის დეპუტატმა ანტონ ბელიაკოვმა გენერალურ პროკურატურაში მოთხოვნა გააგზავნა, რომელშიც მოითხოვს რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ შეამოწმოს - ხომ არ ფინანსდება რადიკალური ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი საზღვარგარეთიდან.**

**— რუსული კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას ან შექმნას ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, — აცხადებს დეპუტატი ბელიაკოვი პარტია „სპრავედლივაია როსიადან“.**

**მისივე თქმით, ბოლო დროს რუსული პრესა აქტიურად აშუქებდა ნემცოვის საზღვარგარეთის მოგზაურობებს. მისმა დაკავებამ კი უცხოელი პოლიტიკოსების არნახული კრიტიკის ტალღა გამოიწვია - „და ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ნემცოვი დამნაშავედ აღიარა„.**

**— გახსოვთ, ლუჟკოვის დროსაც აკავებდნენ ბორის ნემცოვს, მაგრამ მაშინ ეს რიგითი მოვლენა იყო. ახლა კი განცხადებით გამოვიდა სენატორები ჯო ლიბერმანი, სწორედ ის ჯონ მაკკეინი და ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი მაიკლ ჰამერი. უკვე აღარაფერს ვამბობ საზღვარგარეთის მედიაზე, რომელმაც ისე გააშუქა ნემცოვის დაკავება, თითქოს ეს სტიქიური უბედურება ყოფილიყო, — აცხადებს დუმის დეპუტატი.**

### რუსი ჯარისკაცები იუდაშკინის ფორმით ივლიან

**მიმდინარე წლის ბოლომდე რუსული არმიის ყველა ჯარისკაცი დიზაინერ ვალენტინ იუდაშკინის შეკერილ სამხედრო ფორმაში იქნება გამოწყობილი. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.**

**მათი ინფორმაციით, საშემოდგომო გაწვევის დროს ყველა წვევამდელი უკვე უზრუნველყოფილი იყო ახალი სამოსით, ხოლო 2011 წლის ბოლომდე ამ ახალ ფორმაზე გადაიყვანენ ყველა ჯარისკაცსა და სერჟანტს.**

**— თითქმის 250 ათასმა ადამიანმა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად შემოდგომასა და ზამთარში გაიწვიეს, შეკრების პუნქტებში ახალი ფორმა უკვე მიიღეს. იგივე განმეორდება შემდეგი მოწვევის წვევამდელებთან დაკავშირებით, — იუწყება რუსული მედია და დასძენს, რომ ოფიცრების კორპუსის გარდერობის მთლიან განახლებას მეტი დრო დასჭირდება.**

ჯი-ემ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომის ვეტერანები იმისთვის იბრძვიან, რომ თავის გატანა შეძლონ, „გმირის“ წოდებას კი ბრწყინვალება აკლდება

**ბოლოდროინდელმა შემთხვევამ, როდესაც პოლიციამ ომის ვეტერანებს შიმშილობა შეაწყვეტინა, ხაზი გაუსვა მზარდ იმედგაცრუებას მათ შორის, ვინც ადრეულ ქართულ პოსტსაბჭოთა ომებში იბრძოლა. ბევრი ის ვეტერანი, რომლებიც 1990-იანი წლების კონფლიქტებში მონაწილეობდა, ახლა იმას უჩივის, რასაც პატივისცემის და ხელისუფლების მხარდაჭერის დეფიციტად აღიქვამს**



3 იანვარს 1990-იანი წლების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მონაწილე ვეტერანებმა თბილისის ცენტრში, ომის ვეტერანთა მემორიალთან შიმშილობა დაიწყეს. პოლიციამ ამ საპროტესტო გამოსვლის დასაშლელად ძალა გამოიყენა და შედეგად 11 დემონსტრანტი დააპატიმრა. აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა პოლიციის მოქმედებას „დემოკრატიისთვის არასათანადო“ უწოდა. დაკავებული ვეტერანები ერთი დღის შემდეგ გაათავისუფლეს და ყოველი მათგანი 400 ლარით დააჯარიმეს.

მთლიანად საქართველოს ვეტერანების სამი თაობა ჰყავს: მეორე მსოფლიო ომის (1939-1945წ, 1991-1992, 1992-1994 – სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტებთან კონფლიქტისა და 2008 წელს რუსეთთან ომის მონაწილენი. ყველა თაობა თავის დროის „გმირად“ იყო აღიარებული, მაგრამ ბევრი ვეტერანი გრძნობს, რომ საკუთარი წარსულის გადააზრების პროცესში ზოგიერთი ვეტერანი ახლა უფრო დიდ გმირად მიაჩნიათ, ვიდრე მეორენი.

ჩივილი განსაკუთრებით ხმამაღლა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პირველი კონფლიქტის მონაწილეთა შორის ისმის. ეს იყო ორი ველური და ქაოტური ომი, რომელიც საქართველოს თავის სეპარატისტულ რეგიონებზე კონტროლის ფასად დაუჯდა. ეს ვეტერანები, 30 000 მამაკაცზე და ქალზე მეტი შეადგენს ქართველ ვეტერანთა 77 ათასიანი ნუსხის თითქმის ნახევარს.

„როგორც კი გვეტყოდნენ, რომ ჩვენი ქვეყანაა დასაცველი, ეგრევე იარაღს ვიღებდით და ბრძოლის ველზე მივიჩქაროდით“, – ამბობს გელა ჯოხაძე, 1992-1994 წ.წ. აფხაზეთის კონფლიქტის ვეტერანი, იმ ომის მონაწილე, რომელსაც ვეტერანები ხშირად „საქართველოს ვიეტნამს“ უწოდებენ.

ვეტერანების პრივილეგიები საქართველოში საუკუთესო შემთხვევაში მოკრძალებულია. ანტი-კორუფციული ბრძოლის ფარგლებში, ამ პრივილიგიების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც 2004 წელს 240 000 უდრიდა, დღეს 77 000-მდე შემცირდა, – ამბობს ნიკა ცაგარეიშვილი, ჯანდაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პირები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან როგორც ვეტერანები, თვეში 22 ლარს იღებენ დახმარების სახით. მათ, ვისაც ჭრილობების გამო შრომისუნარიანობა აქვთ დაკარგული, თვეში 129 ლარს უხდიან, როგორც ინვალიდობის კომპენსაციას, მსუბუქი ჭრილობების მქონე ვეტერანები 80 ლარს იღებენ, იმ პირებს, ვინც ომში ორი ან უფრო მეტი შვილი დაკარგა, თითო დაკარგულ შვილზე თვეში 55 ლარი ეკუთვნით. საომარ მოქმედებებში მოკლულთა მეუღლეები 44 ლარს იღებენ.

მთლიანობაში დაახლოებით 980 ქართველი ვეტერანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

იმ დროს, როდესაც ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი აღიარებს, რომ ვეტერანთა მხარდასაჭერად მეტის გაკეთებაა შესაძლებელი, მთავრობის გეგმები ამ საკითხთან დაკავშირებით უცნობია. თავდაცვის სამინისტრომ EurasiaNet.org-ის თხოვნას, მოეცა ინფორმაცია ვეტერანთა პოლიტიკის შესახებ, არ უპასუხა. EurasiaNet.org-მა განმეორებით სთხოვა ინტერვიუ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარეს ოთარ თოიძეს, მაგრამ მან ინტერვიუ არ მოგვცა.

2008 წლის ომის ვეტერანებისთვის და მათი ოჯახებისთვის გაცემულმა დახმარებებმა ძველი თაობის ქართველ ვეტერანთა უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათი აზრით, ბოლო თაობის სამხედროები საზოგადოებისა და მთავრობისაგან ზედმეტად დიდ ყურადღებას იღებენ. მათ მიაჩნიათ, რომ საბაზისო პროვილეგიების მიღების მცდელობისას, ისინი კატეგორიების, იარლიყებისა და საკანცელარიო პროცედურების ბიუროკრატულ სამყაროში ჩაიკარგნენ.

„მათ წარსული დაივიწყეს და ყველაფერს თავიდან იწყებენ, ხაზი გადაუსვეს ყველაფერს, რაც მანამდე იყო“ – ამბობს გივი ბაკურაძე, აფხაზეთის ომის კიდევ ერთი ვეტერანი.

ამ შთაბეჭდილებას ის ცვლილებები ქმნის, რომელიც ქართულ საზოგადოებაში 1990-იანი წლების აფხაზურ და ოსურ ომებთან დამოკიდებულებაში მოხდა – კრიტიკა ომებისა, რომელთა დროსაც ტანკები და შეიარაღებულ ადამიანთა ბანდები მთელს ქვეყანას იყვნენ მოდებულები, სულ უფრო ხმამაღლა ისმის.

ძალიან ბევრისთვის, პირველი სეპარატისტული კონფლიქტის ვეტერანები ანაქრონისტულად გამოიყურებიან, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ატარებს პარტიზანული ყაიდის წვერს და სამხედრო ტანსაცმელს, რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნის საქართველოს ამჟამინდელ, აშშ-ის მიერ გაწვრთნილი სამხედროების მედია ხატ-სურათებთან: მოწესრიგებულები, თანამედროვე უნიფორმებში ჩაცმულები და თანამედროვე შეიარაღებით.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები კი ამასობაში ახლა იმ იდეას უნდა დაუპირისპირდნენ, რომლის თანახმადაც ისინი „ვიღაცის ომში იბრძოდნენ“.

# სააკაშვილი ამერიკიდან უიარაღოდ დაბრუნდა

**გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართული წყაროების ინფორმაციით, მან დაარწმუნა ამერიკელი თანამოსაუბრენი, რომ საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატებისგან სჭირდება არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური დახმარება. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს ლიდერის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბარაკ ობამასთან შეხვედრაზე საკვანძო იყო სწორედ თბილისისთვის იარაღის მიწოდების განახლების თემა. მიუხედავად ამისა, თეთრი სახლი ჯერჯერობით უპასუხოდ ტოვებს საქართველოს მხარის თხოვნას. იქ ეშინიათ, რომ საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება სერიოზულად გაართულებს ურთიერთობას რუსეთთან**

საქართველოს პრეზიდენტი ვაშინგტონში ჩავიდა კერძო ვიზიტით ამერიკელი დიპლომატის რიჩარდ ჰოლბრუკის ხსოვნის აღსანიშნავ სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ამერიკელი დიპლომატი 14 დეკემბერს გარდაიცვალა. საქართველოს პრეზიდენტსა და მას შორის ისეთი ახლო ურთიერთობა იყო, რომ, როგორც სამგლოვიარო ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, „ჩვეულებრივად ის მე მიშას მეძახდა“. ბატონ ჰოლბრუკის გარდაცვალების შემდეგ თბილისის საქალაქო დუმამ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მისი სახელი ერთ-ერთ ქუჩას უწოდა, ხოლო პრეზიდენტმა დიპლომატი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა წმინდა გიორგის ორდენით საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის.

საქართველოს ლიდერი ძნელად რომ მოიფიქრებდა უკეთეს საბაბს ვაშინგტონში ჩასასვლელად. საზეიმო პანაშვიდს, რომელიც პარასკევს გაიმართა, ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსები და სამხედროები. სხვათა შორის, თეთრი სახლი უკანასკნელ წუთებამდე უარს აცხადებდა პრეზიდენტ ობამას საქართველოს ლიდერთან შეხვედრის გრაფიკში ჩასმაზე. „მას შემდეგაც კი, რაც ბატონი სააკაშვილის თვითმფრინავი ვაშინგტონში დაეშვა, ადმინისტრაციაში კვლავ აგრძელებდნენ დავას, თუ უმაღლესი რანგის რომელი პირი უნდა შეხვედროდა საქართველოს პრეზიდენტს“, – განგვიმარტა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებულმა პირმა. მან დაუმატა, რომ ამერიკის საელჩო მოსკოვში ურჩევდა, არ მოეწყოთ შეხვედრა უმაღლეს დონეზე, შემოფარგლულიყვნენ სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთი მოადგილის მიღებით. საელჩოს აზრით, მიხეილ სააკაშვილის თეთრ სახლში მიწვევამ შეიძლება გამოიწვიოს „მოსკოვის განუჭვრეტელი რეაქცია“.

ჩასვლის შემდეგ პირველ ხანებში საქართველოს პრეზიდენტი შემოიფარგლა საოქმო შეხვედრებით. მან წმინდა გიორგის ორდენი გადასცა სენატორ ჯოზეფ ლიბერმანს, რომელიც თბილისში ჩავიდა 2008 წლის აგვისტოში, შეხვდა კონგრესის სპიკერს ჯონ ბენერს და ქვედა პალატის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელს ილეანა როს-ლეტანენს, რომელიც არაერთგზის გამოსულა მკაცრი განცხადებებით რუსეთის მისამართით.

ხუთშაბათ საღამოს ცნობილი გახდა, რომ შეხვედრა ბარაკ ობამასთან მაინც შედგებოდა. იგი გაიმართა რიჩარდ ჰოლბრუკთან გამოთხოვების ცერემონიის შემდეგ და გრძელდებოდა 25 წუთი. საუბარში მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა.

როგორც თეთრი სახლის პრესსამსახურმა განაცხადა, მხარეებმა განიხილეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხები, კავკასიის პრობლემები და ავღანეთში საერთაშორისო ძალების საქმიანობა, „სადაც მამაცი ქართველები მხარდამხარ დგანან ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებთან“. ოფიციალური ცნობების თანახმად, საუბრის ერთადერთი შედეგი გახდა შეთანხმება მომავალში ამგვარი შეხვედრის მოწყობის შესახებ გაფართოებული ფორმატით. საქართველოს მხარე ამტკიცებს, რომ პრეზიდენტებმა განიხილეს ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხები.

ამ დროს ვაშინგტონში არავინ მალავს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება რამდენჯერმე შეეცადა, განეახლებინა სრულმასშტაბიანი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც გაიყინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ. 2010 წლის ნოემბერში ნატოს სამიტზე ლისაბონში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ალიანსის წევრებისგან მოითხოვა, მისცენ თბილისს აუცილებელი შეიარაღება რუსეთის შესაძლო აგრესიისგან თავის დასაცავად, სამაგიეროდ, ის იძლეოდა პირობას, რომ გაზრდიდა ქართულ კონტინგენტს ერაყსა და ავღანეთში. 3 დეკემბერს პრეზიდენტის თხოვნას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თბილისში ჯონ ბასმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა მხოლოდ განზრახული აქვს განავითაროს სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან, არამედ უკვე „მუშაობს კიდეც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და ქვეყნის სხვა უწყებებთან თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საკითხზე“.

დეკემბერში ვაშინგტონში იყო საქართველოს ევროინტეგრაციის მინისტრი გიორგი ბარამიძე. ასოშიეიტ პრესის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო მოლაპარაკება საქართველოს წევრობის შესახებ ნატოში. მიუხედავად ამისა, სენატორმა ჯონ მაკკეინმა მაშინ განაცხადა, რომ ბატონ ბარამიძესთან განიხილავდა საიარაღო კონტრაქტების განახლებას. „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თავდაცვითი სისტემების მიყიდვა საქართველოსთვის აკრძალული იყო. ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს სიტუაცია“, – განაცხადა სენატორმა. ზოგიერთი ინფორმაციით, იმ სურვილების სიაში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ გადასცა ვაშინგტონს, აღნიშნულია მთელ რიგ შეიარაღებათა სახეები.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ პენტაგონმა უარყო ცნობა საქართველო-ამერიკის საიარაღო გარიგებისთვის მზადების შესახებ. „ნებისმიერი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, მიყიდოს იარაღი საქართველოს მესამე ქვეყნის მეშვეობით, ჩვეულებრივი სიყალბეა“, – განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა ვენდის სნაიდერმა. მიუხედავად ამისა, თეთრმა სახლმაც და სახელმწიფო დეპარტამენტმაც უარი განაცხადეს, პასუხი გაეცათ ჩვენს შეკითხვაზე იმის შესახებ, განიხილებოდა თუ არა პრეზიდენტების შეხვედრის დროს საკითხი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განახლების შესახებ.

სამაგიეროდ, ჩვენმა წყარომ, რომელიც დაახლოებულია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან, დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილმა გადასცა თეთრ სახლს ვრცელი მოხსენება, რომელშიც საქართველოს მხარემ დაასაბუთა თბილისისთვის ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების გადაცემის აუცილებლობა. „საკითხი, რასაკვირველია, არ შეეხება კონტრაქტის გაფორმებას ათეული მილიონობით დოლარის ოდენობით, როგორც ამას რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, – დაადასტურა ჩვენმა თანამოსაუბრემ. – თბილისის მოთხოვნები გაცილებით უფრო მოკრძალებულია“.

ამ ინფორმაციას ირიბად ადასტურებს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს დაავალა, შეფასება მისცეს იმ საკითხებს, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა დააყენა, და მოამზადოს შესაბამისი მოხსენება.

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთმა წარმატებით გამოსცადა უპილოტო აპარატი, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს მტრის თანამგზავრი**

ამ სახის პირველ საფრენ აპარატს შეუძლია იმყოფებოდეს კოსმოსში წელიწადში 270 დღემდე. ჩინეთის უპილოტო აპარატი გამოწვევას უკეთებს ამერიკულ აპარატს, რომელსაც შეუძლია დაუსჯელად მიაყენოს დარტყმები პლანეტის ნებისმიერ წერტილს.

* * *

**ბრაზილიაში წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვმა 630 კაცს გადააჭარბა**



ზვავებისგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ ქალაქები ნოვა-ფრიბურგი, ტერეზოპოლისი, სუმიდოურუ და პეტროპოლისი, სადაც შესაბამისად დაიღუპნენ 287, 269, 19 და 56 კაცი. ყველა ეს ქალაქი მთებშია რიოდან დაახლოებით 100 კილომეტრით ჩრდილოეთში.

* * *

**ჰაიტის ყოფილი დიქტატორი დაბრუნდა სამშობლოში**

დიუვალიე არ ყოფილა ჰაიტიზე უკვე 25 წელიწადია. თავისი „გაუთვალისწინებელი“ ვიზიტი მან ახსნა იმით, რომ სურს „დაეხმაროს თავის ქვეყანას, რომელიც ძლიერი მიწისძვრისგან დაზარალდა“. მეორე მიზეზი გახდა პოლიტიკური კრიზისი, რომლის შედეგადაც ჩაიშალა პრეზიდენტის არჩევნები და არ ყოფილა არჩეული ქვეყნის ხელმძღვანელი.



* * *

**ნაზარბაევმა ხელი არ მოაწერა შესწორებებს კონსტიტუციაში მისი უფლებამოსილებების გახანგრძლივების შესახებ აურჩევლად**

ყაზახეთის პრეზიდენტი ადრეც აცხადებდა, რომ მზად არის, მიიღოს მონაწილეობა 2012 წლის არჩევნებში და მხარს არ უჭერდა თავისი უფლებამოსილებების გახანგრძლივების იდეას. ამჟამად დაიწყება პრეზიდენტის მიმართვის განხილვა კანონთან – „კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ – დაკავშირებული რეფერენდუმის გამართვის შესახებ, რომელიც პარლამენტმა პარასკევს მიიღო.




* * *

**კონგრესმენი ქალბატონის გიფორდსის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა: მას სიკვდილი უკვე აღარ ემუქრება**

გიფორდსი გამორთეს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციიდან და იგი უკვე სუნთქავს დამოუკიდებლად. დაჭრილ ქალბატონს უკვე შეუძლია ხელებისა და ფეხების მოძრაობა და ექიმების რჩევების შესრულება. ტყვია კონგრესმენს მოხვდა კეფაში და გამოვიდა წარბის ზემოთ, დააზიანა თავის ტვინის ის მონაკვეთი, რომელიც მეტყველებაზეა პასუხისმგებელი.

◉ უმსგავსი დირექტივა

# თქვენს კლასს დავშლით!..

**„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“**

ოდითგან, ეს ისტორიული წყაროები იქნება, თუ შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ვიცით მეგობრობას რა ძალაც აქვს. მეგობრის სიყვარულმა არა ერთხელ ჩაადენინა ადამიანებს გმირული საქციელი, თაობები გაიზარდა ამ სულისკვეთებით.

რომელი ერთი ანდაზა ან აფორიზმი გავიხსენოთ, რომელიც მეგობრობას ადიდებს.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“;

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“;

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდელ“;

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ და ბევრი სხვა.

ჩემი თაობის ადამიანებს არა თუ სკოლიდან, საბავშვო ბაღიდანაც კი გვყავს მეგობრები, ასე მოვდივართ მთელი ცხოვრება და ვიზიარებთ ერთმანეთის ჭირ-ვარამსა და სიხარულს.

ნუ ეწყინებათ განათლების სამინისტროს თავკაცებს, მაგრამ ასე მგონია, თვით მინისტრი, მისი მოადგილეები, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, უცხოპლანეტელები ბრძანდებიან, ძალისხმევას არ იშურებენ რათა ქართული ცხოვრების ადათწესი მოშალონ, ქართულ გენში ხელოვნურად ჩაერიონ. მაინტერესებს ვინ მისცა მათ ამის უფლება?

21-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, შემოდგომაზე ერთ-ერთ კრებაზე თავმომწონედ ბრძანა, მითითება მაქვს, „მოსწავლეების ურთიერთობები მეგობრობაში არ უნდა გადაიზარდოს, ამ მიზნის მისაღწევად კი კლასები უნდა დავშალოთო.

თქვენ ეს მიმითება ბრწყინვალედ შეასრულეთ ბ-ნო დირექტორო, როდესაც სწავლების შუა წელიწადში მე-6 კლასი დაშალეთ ისე, რომ მშობლები საქმის კურსში არც კი ჩააყენეთ. 12 წლის აღსაზრდელებს ულალატეთ სწორედ მაშინ, როდესაც მათი ჩამოყალიბების პროცესია, დაამსხვრიეთ მათი იდეალები, დაარბიეთ მეგობრული ურთიერთობები, გათელეთ გარდამავალი ასაკის მოსწავლეების საუკეთესო ჩანაფიქრები...

ნუთუ განათლების სამინისტროს მესვეურები ასეთ უმსგავსო და ჩვენი ცხოვრების წესისათვის უჩვეულო, ველურ და ვანდალურ მითითებებს იძლევიან?

საქართველოში არსებული სკოლების დირექტორები და პირადად თქვენ — 21-ე საჯარო სკოლის დირექტორო, უსიტყვოდ, ბრმად, მონურად ემორჩილებით ამ უმსგავსობას. ალბათ, გაგიგონიათ „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“. ქართული ენა ბრძნული ენაა, ჩვენი ხალხი თავისი ადათ-წესებით ბრძენი ხალხია. ნუ შევეცდებით, დავთრგუნოთ, დავანგრიოთ და მოვსპოთ ის, რაც გენში გვაქვს — **მეგობრობის დიდი ძალა.**

დაფიქრდით სკოლის დირექტორებო და განსაკუთრებით თქვენ, 21-ე საჯარო სკოლის დირექტორო, თქვენც ხომ იყავით სკოლის მოსწავლე და მჯერა რომ ერთი მეგობარი მაინც გყავთ შემორჩენილი სკოლის წლებიდან. პატივცემულო დირექტორო, ვიღაცას უნდა ეყოს გონიერება და ძალა, რათა უმსგავს დირექტივებს წინ აღუდგეს. იქნებ ასეთი გზით უფრო მოიხვეჭთ სახელს? გაუფრთხილდით აღსაზრდელების ფაქიზ სულს!

**ელენე ჩხეიძე,**
**21-ე საჯარო სკოლის აღსაზრდელის ბებია.**

◉ ინფორმაცია

## განათლების სფერო შაშკინესებური სიახლეებით

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი განათლების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა და სიახლეები გააცნო. სტუმართა შორის იყვნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები, დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები. შეხვედრაზე მინისტრმა მოკლედ შეაჯამა გასული წელი და ვრცლად ისაუბრა მომავალ გეგმებზე.**



**შაშკინის თქმით, ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რაც 2011 წლიდან განხორციელდება, სკოლების დაფინანსების ახალი მოდელია. შემუშავდა ფორმულა, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს როგორც მაღალმთიანი სოფლების, ასევე დიდი ქალაქების სკოლებს.**

**2011 წლიდან, სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის გზით, სკოლების ვაუჩერული დაფინანსება 44 მილიონი ლარით გაიზრდება. ბიუჯეტში დანაკლისი არც ერთ სკოლას აღარ ექნება.**

**ახალი ფორმულის მიხედვით, ყველა სკოლას გაუჩნდება გარკვეული სახსრები იმისთვის, რომ განავითაროს სკოლის ინფრასტრუქტურა. ეს გახდის სკოლას უფრო დამოუკიდებელს და ხელს შეუწყობს სკოლების დეცენტრალიზაციას.**

**დიმიტრი შაშკინი შეეხო დირექტორთა და მასწავლებელთა სერტიფიცირების საკითხს, მიმდინარე წელს ყველა მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა გამოცდები გაიაროს და მიიღოს დამატებითი ანაზღაურება, ასევე სურვილის შემთხვევაში, ყველა საგნის პედაგოგი შესძლებს, გადალახოს ინგლისური ენის ცოდნისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობის მინიმალური კომპეტენცია, რაც ასევე გულისხმობს დამატებით ანაზღაურებას.**

**ახალი სასწავლო წლიდან ყველა პირველკლასელი მიიღებს ნეთბუქს. ივნისისთვის საქართველოში აშენდება ქარხანა, სადაც პირველკლასელთა კომპიუტერები აიწყობა, დაწყებითი კლასებიდან გაძლიერდება უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება.**

**მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მკაცრდება სახელმძღვანელოთა გრიფირების წესი, შესაბამისად, კომპეტენტური კომისიის მიერ მხოლოდ კარგი სახელმძღვანელოები შეირჩევა.**

## ოზურგეთის მანქანათმშენებელ საწარმოს ინდოელები ეხმარებიან

**ინდური კომპანია „მანსაროვა“ ოზურგეთის მანქანათმშენებელი საწარმოს რეაბილიტაციას რამდენიმე თვეში დაასრულებს.**

**საწარმო სრული დატვირთვით წლის მეორე ნახევრიდან ამოქმედდება.**

**ინვესტორს საწარმოს სრული რეაბილიტაცია დაახლოებით 1 მლნ. დოლარი უჯდება.**

**ინვესტორი მუშაობას სამი მიმართულებით გეგმავს. ესენია: მექანიკური საწარმოს მშენებლობა, პოლიეთილენის საამქროების მშენებლობა და ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების წარმოება.**

**რეაბილიტაციის პროცესთან ერთად, საწარმოს მუშაობა არ შეუწყვეტია. მენეჯმენტის ინფორმაციით, 2010 წელს საწარმომ 34 ათას 200 ლარის ჩაის გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარები გამოუშვა, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ბაზარზე გაყიდა.**

**საწარმოს სრული ამოქმედების შემდეგ ოზურგეთის მანქანათმშენებელი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია უცხოეთის ბაზრებზეც გაიყიდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ „სადილი ყველას“

*„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდებაო“, ნათქვამია. ეს ფრთიანი ფრაზა მხოლოდ ქართველისთვის არ ყოფილა ნაცნობი და ახლობელი, საქართველოში მოღვაწე უცხოელი ბიზნესმენებიც იმავე პრინციპით მოღვაწეობენ და ცდილობენ, ხელი შეუწყონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცნობილი ბრენდები მხოლოდ თავისი ბიზნეს-მოღვაწეობით კი არ არიან ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის, ისინი თავისი ქველმოქმედებითაც გვამახსოვრებენ თავს. მათ შორისაა, მაღაზიათა ქსელი — „ბეკო“, რომელიც უკვე 11 წელია საქართველოში დამკვიდრდა და ქველმოქმედების თითქმის ამდენივე ხნის სტაჟი გააჩნია. დღესაც „ბეკოს“ მიერ მოწყობილ საქველმოქმედო აქციაზე შეიკრიბა ჟურნალისტთა კორპუსი, რათა თავის თვალით ენახა, როგორ უშურველად უმასპინძლა ამ კომპანიამ 2000 თბილისელ მოქალაქეს სათნოების სახლ „კათარზისში“. მასპინძლები, „კათარზისის“ პერსონალთან ერთად, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, თავად „ბეკოს“ ახალგაზრდა თანამშრომლებიც იყვნენ, რომლებიც ხალისით ემსახურებოდნენ მოხუცებსა და ბავშვებს, რომლებსაც რიგში დგომა დიდხანს არ უხდებოდათ, რადგან ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული.*

*ჩვენ, კომპანია ბეკოს“ გენერალურ დირექტორს, ბატონ მეჰმეთ მელექს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით მოეთხრო კომპანიასა და მის საქველმოქმედო საქმიანობაზე.*

# ჩვენც დავბერდებით...

— უკვე 11 წელია რაც საქართველოში ვართ. ჩვენ, დღესდღეობით, ბაზრის 34 პროცენტი გვიკავია, მაგრამ ჩვენი საქმიანობა, ისევე, როგორც ჩვენი მოვალეობები, მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ჩვენ ვთვლით, რომ ვალდებულნი ვართ, მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს მოხუცებს, ჩვენც ხომ ოდესღაც მოვხუცდებით?! სწორედ ამიტომაა, რომ საქველმოქმედო აქციებს ასეთი სიხშირით ვატარებთ. ვეხმარებით უმეტესად ბავშვებს და მოხუცებს, თუმცა ხშირად ისეთ ადამიანებსაც, ვისაც ჩვენი დახმარება წყალივით სჭირდება.



უკვე 4-5 წელია, რაც „კათარზისთან“ ვთანამშრომლობთ. როგორც მოგახსენეთ, ეს ჩვენი მოვალეობაცაა და ვალდებულებაც, იმიტომ რომ სამომავლოდ ჩვენც დავბერდებით, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს დაჭირდეთ ამგვარი დახმარება, მაგრამ ქველმოქმედება მუდამ უნდა არსებობდეს, ადამიანებმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესაძლოა დღეს ვიღაცამ მშიერმა დაიძინოს, ან ელემენტალურად, პურიც ვერ აჭამოს თავის შვილს. ეს ყოვლად მიუღებელია ჩვენთვის. ეს აქცია — „სადილი ყველას“ — 2000 კაცზე გათვლილი ლონისძიებაა, რომელსაც პერმანენტულად ვახორციელებთ. ჩვენ ის ამჯერად მივუძღვენით მარინა გონაშვილს, რომელიც, დაახლოებით, ერთი თვის წინ გარდაიცვალა. ის „კათარზისის“ პროექტების მენეჯერი იყო და დიდი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაზე არ გავჩერდებით და სამომავლოდაც გვექნება ამგვარი აქცია, სავარაუდოდ, ივნისის თვეში. საქველმოქმედო აქციებს ვატარებთ გორში გადასახლებულთათვისაც, მათ უფრო ხშირად ტექნიკით ვეხმარებით, ხანდახან ფულადი სახსრებითაც. ოღონდ ოფიციალურად, გადარიცხვით.

**— რამდენი ხანია რაც „ბეკო“ ამ ბაზარზეა, როგორ მკვიდრდებოდით, პრობლემები თუ შეგქმნიათ ოდესმე, როგორი მდგომარეობაა დღეს?**

— ჩვენ, 1998 წლიდან ვართ საქართველოს ბაზარზე, საქმიანობა ბათუმიდან დავიწყეთ, სულ 38 მაღაზია გვაქვს საქართველოში. 1999 წლიდან, უკვე თბილისში ვართ, სადაც 16 მაღაზიაა. გვაქვს აგრეთვე, სამი მომსახურების ცენტრი — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. სულ დასაქმებული გვყავს, დაახლოებით, 200-250 კაცი, ბეკოს გარდა, ჩვენ გვაქვს გრუნდიკი, აგრეთვე, შემოვიტანეთ გერმანული ბრენდი ბლომბერგიც.

* * *

**გავესაუბრეთ სათნოების სახლ „კათარზისის“ გენერალურ დირექტორს ზაურ (ოლეგ) ალადაშვილს, რომელიც ორი სახელით გაგვეცნო. როცა ხუმრობით ვკითხეთ, — ორი სათაური რად უნდაო, ბატონ ზაურს კეთილმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ჩვენ კი ფუტკრის სკასავით აზუზუნებული სათნოების სახლის შემხედვარე, სადაც რიგი არ თავდებოდა, მივხვდით, რომ საქმე, რომელსაც ის ემსახურება, ათი კაცის ენერგიას მოითხოვს და მას ერთის და ორის ძალისხმევა კი არა, ათასთა გარჯა ჭირდება.**

— ნამდვილად კარგი საქმეა, ბედნიერი ვარ რომ ღმერთმა ამ გზაზე და ამ ჭკუაზე დამაყენა და აი, უკვე 20 წელია მას ვემსახურები. რთულ დროს ვიწყებდით ჩვენს საქმიანობას, ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა, თუ გახსოვთ, ეს ის დროა, როცა ეროვნული ენერგია იყო გამონთავისუფლებული, ყველა ცდილობდა რაღაც გაეკეთებინა, მაგრამ უმრავლესობა პოლიტიკურ ორგანიზაციებს ქმნიდა, მე კი ჩავთვალე, რომ ყველაზე კარგი თვითგამოვლენის ფორმა ჩემთვის იყო ის, რამაც შემდეგ კათარზისის სახე მიიღო. მე დღემდე მენატრება ჩემი ბაბო და პაპა, კახელი გახლავართ, ამიტომაც ვიხსენიებ მათ ასე. მგონია რომ ვერ მოვეფერე მათ ისე, როგორც უნდა მოვფერებოდი, რაღაც დავაკელი, ხალხი რომ მიდის, მერე გვწყდება გული, მხოლოდ ახლაღა ვცდილობ მოვეფერო სხვა ბებიებს და ბაბუებს და ასე მგონია რომ მათ ვეფერები ჩვენი მეგობარი ორგანიზაციების მეშვეობით. ჩვენ განსაკუთრებული მეგობრები გვყავს, ბეკოს, ჯეოსელის, ავერსის, პსპ-ს და სხვათა სახით, ვწუხვარ კიდეც მათი ჩამოთვლა რომ დავიწყე, ხომ შეიძლება ვინმეს გული ვატკინო. ყვითელი ფურცლები რომ გადავშალოთ, ძნელად ნახავთ ორგანიზაციას, რომელსაც რაიმე ფორმით კათარზისის რომელიმე პროექტში არ მიეღოს მონაწილეობა, აღარ ვლაპარაკობ კერძო პირებზე და ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებსაც მაინცდამაინც ჟღერადი სახელი არა აქვთ, ანუ პრაქტიკულად, ამ 20 წლის განმავლობაში ძალიან ბევრმა ორგანიზაციამ, კერძო პირმა გაგვიმართა ხელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც კათარზისში ხდება, ხალხის გაკეთებულია, ჩვენ უბრალო შუამავლები ვართ, ამ შემთხვევაში, „ბეკოსა“ და ხალხს შორის, როგორც ჩანს, ჩვენ ეს დაგვევალა, გნებავთ უფლისგან, გნებავთ საკუთარი სინდისისგან.

**ქეთი ჯაყელი,**
**„მედია — მსოფლიოს გარშემო“**

◉ თანამშრომლობა

## კონგოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა

**საქართველომ და კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს.**

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ხელი მოეწერა ოქმს, რომლის თანახმად, ერთმანეთთან ურთიერთობებში მხარეები იხელმძღვანელებენ სუვერენული თანასწორობის, მეგობრული ურთიერთობების, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპებით.**

**კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა ამ სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ილეკა ატოკიმ, ხოლო საქართველოს მხრიდან — საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალექსანდრე ლომაიამ.**

**ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**ჭიდაობა**

# ჭაბუკებმა იყოჩაღეს



**წარმატებით დაიწყეს სეზონი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებმაც გასულ უქმეებზე ბაქოში მუშვიგ ისაევის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ხალიჩაზე ჩვენი ქვეყნის 20 წარმომადგენელი გავიდა.** ექვსმა მათგანმა ჯილდო დაიმსახურა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გენო პეტრიაშვილი ( 100ძ, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანელი ასლან ალზოროვი დაამარცხა. გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ რამაზ ზოიძე (42ძ და ბექა როჭიკაშვილი (85ძ, ხოლო ტაიფუნ აბდულაევმა (42ძ, რამაზ დარჩიძემ (45ძ და ომარ გურჯიძემ (63ძ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**

# ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

**ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი,**



**რომელშიც სხვადასხვა ქალაქის 16 წარმომადგენელი ჩაება. ასპარეზობის მონაწილეებმა ნოკაუტსისტემით ორი წრე გაიარეს. სენსაციას სენსაცია მოსდევს.** შეჯიბრების სტარტზე ეროვნულმა ოსტატებმა დავით ზარქუამ და გიგა ყუფარაძემ, შესაბამისად, ვაჟთა ნაკრების წევრები — ქვეყნის ორგზის ჩემპიონი მიხეილ მჭედლიშვილი და მსგავსი შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული მერაბ გაგუნაშვილი დაამარცხეს. გასულ შაბათკვირას კი კიდევ ორი დიდოსტატი ჩამოიცილეს გზიდან: ზარქუამ გიორგი მარგველაშვილს სძლია 1,5:0,5, ყუფარაძემ კი საქართველოს 2009 წლის ჩემპიონს თორნიკე სანიკიძეს აჯობა 2:0. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: ლუკა პაიჭაძე — თამაზ გელაშვილი 2:0, ლევან ფანცულაია — კონსტანტინე შანავა 1,5:0,5.

**დღეიდან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** ზარქუა — პაიჭაძე, ფანცულაია — ყუფარაძე. ნახევარფინალისტები 4-4 პარტიას ითამაშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**ფარიკაობა**

# მედლები მეზობლებსაც ერგოთ

**თბილისის ფარიკაობის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ — სულ 55 გოგონა და ვაჟი. ისინი ორ დისციპლინაში — დაშნასა და რაპირაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.**



**რაპირა. გოგონები.** 1. ციმი ხარხელაური (თბილისიძ, 2. თათია გოქაძე (ქუთაისიძ, 3. თეონა გოგლიძე და ნუცა იაგორაშვილი (ორივე თბილისიძ. **ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ღაღანიძე, 3. სანდრო სიხარულიძე (სამივე თბილისიძ და ანზორ ყურაშვილი (ქუთაისიძ.



**დაშნა. გოგონები.** 1. დიანა ხოდოვა, 2. ელიზავეტა რასცაევა, 3. მადინა ცომაევა (სამივე — ვლადიკავკაზიძ და ხატია ლელაძე (ქუთაისიძ. **ვაჟები.** 1. სერგეი ბუგაევი (ვლადიკავკაზიძ, 2. ქენან ალიევი (ბაქოძ, 3. სოსლან კესაევი და ბატრაზ ქოძაევი (ორივე — ვლადიკავკაზიძ.

**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**

# მოზაიკა

**აზიის თასის გათამაშება. ჯგუფური ეტაპი. III ტური.** ჩინეთი — უზბეკეთი 2:2, ყატარი — კუვეიტი 3:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** უზბეკეთი — 7, ყატარი — 6, ჩინეთი — 4, კუვეიტი — 0 ქულა.

**ასე რომ, აღნიშნული ჯგუფიდან პლეი-ოფში ითამაშებენ უზბეკეთი და მასპინძელი ყატარი.**

**იტალია.** „ლეჩე“ — „მილანი“ 1:1, „ინტერი“ — „ბოლონია“ 4:1, „ჩეზენა“ — „რომა“ 0:1, „იუვენტუსი“ — „ბარი“ 2:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „მალაგა“ 4:1, „ალმერია“ — „რეალი“ 1:1, „ვილიარეალი“ — „ოსასუნა“ 4:2, „ვალენსია“ — „დეპორტივო“ 2:0.

**ინგლისი.** „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერი“ 0:0, „სიტი“ — „ვულვზი“ 4:3, „ვესტ ჰემი“ — „არსენალი“ 0:3, „ჩელსი“ — „ბლექბერნი“ 2:0.

**გერმანია.** „ლევერკუზენი“ — „ბორუსია“ 1:3, „ვოლფსბურგი“ — „ბაიერნი“ 1:1, „შტუტგარტი“ — „მაინცი“ 1:0, „აინტრახტი“ — „ჰანოვერი“ 0:3.

**საფრანგეთი.** „მარსელი“ — „ბორდო“ 2:1, „ლიონი“ — „ლორიენი“ 3:0, „ნიცა“ — „ლილი“ 0:2, „რენი“ — „არლი“ 4:0.



**განსჯა**

# თუ ევროპისკენ ვიხედებით, ევროპის სპორტიც დავინახოთ!

კონფედერაციის წესდების ფორმა და შინაარსი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციას და კანონმდებლობას, ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს და ზემოთ აღნიშნულ კონგრესის რეკომენდაციებს. მასში იგულისხმება:

სპორტული ორგანიზაციების წესდება, სტრუქტურა, და შესაბამისად აისახება დემოკრატიული პროცესები, კერძოდ,

●ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის ყველა ორგანიზაცია უნდა დაეფუძნოს წევრობის კონცეფციას. ეს იძლევა ეფექტური მმართველობის შესაძლებლობას,

●ორგანიზაციის მმართველი და აღმასრულებელი ორგანოს წესდება, წესი, დადგენილება და სხვა აქტები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი (მათ შორის ცვლილებებისა და დამატებების შემთხვევაშიძ ყველა დაინტერესებული მხარისათვის,

●ორგანიზაციის მმართველ და აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობა და პასუხისმგებლობა უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული წესდებით. იგი უნდა იყოს ადაპტირებული და საჭიროების შემთხვევაში გადასინჯული,

●მმართველი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან მუდმივი და/ან მიზნობრივი კომისიების შექმნაზე, რათა დახმარება გაუწიონ აღმასრულებელ ორგანოებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას,

●ორგანიზაციამ უნდა შექმნას და დააწესოს საიმედო და ადეკვატური კრიტერიუმები მმართველი ორგანოების წევრების ასარჩევად ან დასანიშნად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომპეტენტურობის მაღალი დონე, ხარისხი და ეფექტური მმართველობა,

● ორგანიზაციის წევრები წარმოდგენილნი უნდა იქნენ მმართველ ორგანოებში,

●დემოკრატიული პროცესი, როგორიცაა არჩევნები, უნდა ჩატარდეს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი წესების დაცვით,

●ზუსტად უნდა განისაზღვროს და გაიმიჯნოს პასუხისმგებლობა საერთო კრებას, აღმასრულებელი ორგანოს, კომიტეტებსა და დისციპლინურ ორგანოებს შორის,

● უნდა არსებობდეს უფლებამოსილების ბალანსი ისეთ ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მენეჯმენტზე, ზედამხედველობასა და სპორტული ორგანიზაციის კონტროლზე,

●სპორტული ორგანიზაციის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს აზრის გამოხატვის უფლება დღის წესრიგის საკითხებზე, წევრებს უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება და შესაბამისი ფორმით ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა,

●გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უნდა ეცნობოდნენ და ითვალისწინებდნენ ყველა სათანადო და მნიშვნელოვან ინფორმაციას, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ,

●როგორც ზოგადი წესი, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა წევრები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებისას,

●არავინ, ვისაც აქვს ბიზნესი ან პირადი ინტერესი, არ უნდა იღებდეს მონაწილეობას ამ გადაწყვეტილების მიღებაში,

●ადეკვატური პროცედურებით უნდა განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გზები.

ანგარიშვალდებულება, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კონტროლი

●ყოველი ორგანო, არჩეული თუ დანიშნული, უნდა იყოს ანგარიშვალდებული ორგანიზაციის წევრების წინაშე და, გარკვეულ შემთხვევებში, პარტნიორების წინაშეც,

●მენეჯმენტი ანგარიშვალდებული უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანოს წინაშე,

●ყველა დაქირავებული ანგარიშვალდებული უნდა იყოს მენეჯმენტის წინაშე,

●ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ თანდათანობით და შესაბამისი ფორმით უნდა ეცნობოს წევრებს, პარტნიორებსა და საზოგადოებას. მისი გაცნობა უნდა მოხდეს ყოველწლიურად და უნდა იყოს ადვილად გასაგები ფორმით წარმოდგენილი,

●ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულოა, რათა მისი წლიური ფინანსური ანგარიში შემოწმებული იქნეს დამოუკიდებელი და კვალიფიციური აუდიტის მიერ,

●ანგარიშვალდებულება და ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოიცეს რეგულარულად,

● მმართველ ორგანოთა წევრების ანაზღაურებისა და ფინანსური გეგმების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი,

● მმართველ ორგანოთა წევრების და მენეჯერების ანაზღაურების წესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და გასაგები,

●სპორტულ ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს ფინანსური პროცესებისა და ოპერაციების შიდა კონტროლი,

ჰარმონიული ურთიერთობები მთავრობასთან - ავტონომიის შენარჩუნებით

●სახელმწიფოსთან თანამშრომლობა არის სპორტული საქმიანობის უმთავრესი ელემენტი,

●სპორტულმა ორგანიზაციებმა თავისი საქმიანობა უნდა შეათანხმონ მთავრობასთან,

●სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, კოორდინაცია და კონსულტაცია არის სპორტული ორგანიზაციებისთვის ავტონომიის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება,

●მთავრობას, ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის ორგანიზაციებს და მათ პარტნიორებს აკისრიათ მისია და ამის გამო ერთობლივად უნდა იმუშაონ საერთო მიზნის მისაღწევად,

● უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთავრობას, ოლიმპიურ და სპორტულ მოძრაობას შორის სწორი ბალანსის დაცვა,

ქვეყანაში არსებობს გაცხადებული ნება, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახლდეს ინტენსიური მუშაობა “სპორტის შესახებ“ ახალ კანონზე. სპორტის საკანონმდებლო მიზნები და პრინციპები მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია სპორტის ახალი კანონის თავებში და მუხლებში. ყურადღება უნდა მიექცეს (თუნდაც ზოგადი პრინციპების ფორმულითძ სპორტულ განათლებას, სპორტულ სფეროში დასაქმებულთა აკადემიურ და პროფესიულ მომზადებას. მიზანშეწონილია, სპორტის სახელმწიფო სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურასთან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სპორტში საკანონმდებლო სამართლებრივ საკითხებზე. ანალოგიური ჯგუფები არსებობს საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან, ევროპის სახელმწიფოთა სპორტის სტრუქტურებში, აგრეთვე საქართველოს პარლამენტში. დანართში იხილეთ მაგალითის სახით,სპორტის სფეროს მომიჯნავე და სპორტის სახეობებისათვის სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის რიგი საკანონმდებლო ინიციატივები — კანონქვემდებარე აქტების სახით.

ამრიგად, სახეზეა პროცესი, რომლის მეშვეობით დემოკრატიული საზოგადოება წაახალისებს ღია საუბრებს თანაცხოვრების წესებზე. მაგრამ იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს თანაბარი მიდგომა ყველა დაინტერესებული მხარის, ყველა მონაწილის მიმართ და მივიღოთ საერთო თანხმობა მომავალ ორიენტაციებზე, უნდა მოხდეს გარკვეული წესების ჰარმონიზაცია კანონმდებლობის გზით. ასე უნდა მივიდეთ ჩვენ სპორტის ახალ კანონამდე.

**ქვეყანაში არსებობს გაცხადებული ნება, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახლდეს ინტენსიური მუშაობა “სპორტის შესახებ“ ახალ კანონზე**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკიძ აღმასკომის წევრებს, სეოკის მიერ აღიარებული ოლიმპიური და არაოლიმპიური სპორტული ფედერაციების (კავშირების, ასოციაციებისძ ხელმძღვანელებს, მმართველი და აღმასრულებელი ორგანოების წევრებს, სპორტის სპეციალისტებსა და ექსპერტებს, სპორტულ ჟურნალისტებს

ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

ვიმედოვნებ, გამონახავთ დროს და ყურადღებით გაეცნობით თანდართულ მასალებს. მივმართავ თხოვნით ორგანიზაციების/რედაქციების ოფისებს, აღნიშნული მასალები მიაწოდონ ყველა ადრესატს, დაინტერესებულ მხარეს და პირს. ამ და წინა მომართვის მიზანია, მივაწოდოთ ინფორმაციის ნაწილი სპორტის მართვის ევროპულ გამოცდილებასთან დაკავშირებით (ცხადია, არ გამოვრიცხავ, რომ ეს და სხვა მასალები თქვენც გაგაჩნიათძ.

გთხოვთ გამოთქვათ თქვენი მოსაზრება, შემდგომ ვიფიქროთ, გავაანალიზოთ, ვიმსჯელოთ და გამოვიტანოთ დასკვნები დასმულ კითხვებთან და საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლებელია მიჩნეული იქნეს ათვლის საწყის წერტილად ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის მართვის რეფორმის განსახორციელებლად. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი სტრატეგიული საკითხი, იქნება ეს დაკავშირებული მართვასთან თუ რეფორმასთან (იხილეთ დანართიძ, უნდა განხორციელდეს სპორტული სამყაროს და სპორტული ჟურნალისტების უშუალო ჩართვით და აქტიური მონაწილეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სფეროს განვითარებას არ ექნება ეფექტი.

ვფიქრობ, ერთობლივი შეხვედრა შედგეს გარკვეულ ფორმატში არა უგვიანეს ერთი თვისა. ზუსტ თარიღს, ადგილსა და დროს გაცნობებთ დამატებით. თუმცა, მანამდე მოხარული ვიქნები, თუ მოამზადებთ თქვენს მოსაზრებებს, როგორც შეხვედრის ფორმის, შინაარსის, მსვლელობის, ასევე შემდგომი სამოქმედო გეგმის თაობაზე ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მომავლის საკეთილდღეოდ, მის სასარგებლოდ.

გმადლობთ ყურადღებისთვის. მომავალი ურთიერთთანამშრომლობის იმედით.

პატივისცემით,
**თამაზ თევზაძე,**
სპორტის ექსპერტი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №9

(დასასრული იქნება)

## ინტერნეტიდან

# „დაკარი“ დასრულდა

**შაბათს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში დამთავრდა 1 იანვარს დაწყებული და არგენტინა-ჩილეს ტერიტორიებზე გაგრძელებული ტრადიციული რალი-მარათონი „დაკარი“, რომელმაც აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში გადმოინაცვლა.**



**საერთო ჩათვლაში ასეთი შედეგებია: მოტოციკლეტებში** გაიმარჯვა ესპანელმა კომამ, მეორეა – ფრანგი დეპრე, **მსუბუქ ავტომანქანებში** პირველობა იზეიმა ყატარელმა ალ ატტილიამ გოტშალკთან ერთად. **სატვირთო მანქანებში** მეათედ გაჩემპიონდა რუსული „კამაზ-მასტერის“ ეკიპაჟი „დაკარის“ შვიდგზის ჩემპიონის ვლადიმერ ჩაგინის ხელმძღვანელობით. საერთოდ კი ოთხი პირველი ადგილი რუსულმა ეკიპაჟებმა დაიკავეს.

# ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალზე

**ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში შაბათს დაიწყო ტრადიციული 73-ე საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც შედგება პროფესიონალთა სამწრიანი ტურნირისგან და მთელი ევროპიდან ჩამოსული ჭადრაკის მოყვარულთა უთვალავი შეჯიბრებებიდან – ერთი სიტყვით, ყოფილი თუ ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონებისა და დიდოსტატების ასპარეზობისა და უთანრიგოთა პაექრობებიდან.**

აი, ვინ გამოდიან პროფესიონალ-დიდოსტატთა ტურნირში – ფიდეს ბოლო რეიტინგის პირველი მოჭადრაკე **მაგნუს ლარსენი** (2814ქ, მსოფლიო ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (2810ქ, სომეხი **ლევონ არონიანი** (2085ქ, ამერიკელი **ხიკარუ ნიკამურა,** უკრაინელი **რუსლან პონომარიოვი** (2744ქ, იუნიორებში მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი** (2715ქ, ყოფილი საბჭოეთელი, ახლა კი ესპანელი **ალექსი შიროვი** (2722ქ, ჩინელი **ვან ხაო** (2731ქ. რასაკვირველია, რუსეთელები – **ვლადიმირ კრამნიკი** (2784ქ, **ალექსანდრე გრიშჩუკი** (2773ქ, და რუსეთის ახლანდელი ჩემპიონი **იან ნეპომნიაშჩი** (2733ქ. მათთან ერთად იასპარეზებენ მასპინძლებიც. ჰოლანდიელები **ანიშე გირი** (2686ქ, **იან სმიტსი** (2662ქ და **ერვინ ლ' ამი** (2624ქ. მათგან ყველაზე ახალგარდა – 16 წლის **გირია.**



**უკვე გაიმართა ორი ტური:**

პირველ ტურში პონამარიოვი დამარცხდა ანანდთან, გრიშჩუკი – ნიკამურასთან, შიროვი – სმიტსთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ნეპომნიაშჩი – კრამნიკი, კარლსენი – არონიანი, ლ' ამი – გირი, ვაშიე – ლაგრავი – ვან ხაო.

მეორე ტურში ვან ხაო დამარცხდა ნეპომნიაშჩისთან, ხოლო დაზავდნენ გრიშჩუკი – ვაშიე-ლაგრავი, არონიანი – ნაკამურა, გირი – სმიტსი, ანანდი – კრამნიკი, შიროვი – კარლსენი, პონომარიოვი – ლ' ამი.

ორი ტურის შემდეგ ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: ანანდი, ნეპომნიაშჩი, ნაკამურა, სმიტსი – 1,5 ქულა, კრამნიკი, არონიანი, კარლსენი, ვაშიე-ლაგრავი, გირი, ლ' ამი – 1 ქულა, გრიშჩუკი, შიროვი, პონომარიოვი, ვან ხაო – 0,5 ქულა.

# დიდებული საჩუქარი

**სწორედ რომ თავისებური საჩუქარი მოუმზადა ახალგაზრდებს შორის სიგრძეზე ხტომაში ევროპის ჩემპიონს დარია კლიშინას ოცი წლის აღსანიშნავად ბულგარელმა სპორტულმა ინტერნეტ-რესურსმა, უწოდა რა სექსუალური რუსეთელი სპორტსმენი ქალი.**



მის კომპანიონებად დაასახელეს ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი სპორტული ჟურნალისტი, მექსიკელი ელმა ჰიმენესი, ავტორბოლების, განსაკუთრებით კი, „ფორმულა-1“-ის თავგამოდებული ქომაგი, 23 წლის ლამაზმანი კიმბერლი ფელიპსი, მადრიდის „რეალის“ გულშემატკივარი, პარაგვაელი მოდელი ჯესიკა სლაი და იტალიური „ჩეზენეს“ ყოფილი მეკარის დანიელ კავალერის ცოლი.

მოეწონება თუ არა დარიას ეს საჩუქარი, ძნელად მისახვედრია, თუმცა ახალ სექს-სიმბოლოს ხმა მისცა 1646 კაცმა, მეორე ადგილი კი დაიკავა რუსეთელმა კერლინგისტმა ანა სადიროვამ.

## დაიჯესტი

### ადამიანი-ჩირაღდნები

**პოლ კასტილი ლონდონის ერთ-ერთი ქუჩით მიდიოდა, როცა უცბად ცეცხლის ალში გაეხვია. კაცმა ინსტინქტურად სახეზე ხელები აიფარა და გაიქცა, მაგრამ ცეცხლმა იგი მიწაზე დაანარცხა, რის შემდეგ ალი უცბად გაქრა და მისტერ კასტილიც გადარჩა, თუმცა სახე, კისერი და ხელები დაეწვა. 1985 წლის 25 მაისს მომხდარი ეს შემთხვევა ერთ-ერთია ადამიანთა სპონტანური აალების ორმოცდაათ დაფიქსირებულ შემთხვევას შორის.**

მეცნიერებმა დღემდე ვერ შეძლეს ამ ფენომენის ახსნა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ამ დროს ხშირად მსხვერპლთა ტანსაცმელს არაფერი მოსდის, რაც ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ ცეცხლი ადამიანის სხეულის შიგნიდან გამოდის. პირველი ცნობები მსგავს მოვლენათა შესახებ მე-17 საუკუნით თარიღდება.

1980 წლის იანვარში უელსის დაბა გვენტში თავის სახლში ხანდაზმული მამაკაცი დაიწვა. ამ დროს კი სავარძელს, რომელზეც იგი იჯდა, ცეცხლის კვალი არც დამჩნევია. 1975 წელს 82 წლის ინგლისელ უილიამ ქეშმორთან ერთად დაიწვნენ მისი ძაღლი, თუთიყუში და სავარძელი; 1964 წელს 75 წლის ოლგა სტივენსმა თავისი მანქანა დალასის ერთ-ერთ ქუჩაზე გააჩერა და გადმოსვლა ვერ მოასწრო, რომ გამვლელთა თვალწინ ცეცხლში გაეხვია. საბრალო ქალი ადგილზევე გარდაიცვალა, თუმცა მანქანის შიდა მოპირკეთება საერთოდ არ დაზიანებულა; 1938 წელს კი ინგლისის ნორფოლკის სანაპიროზე ნავში მსხდომი მერი კარპენტერი ქმარ-შვილის თვალწინ ისე სწრაფად დაიფერფლა, რომ მათ ხელის გატოკებაც ვერ მოასწრეს.



### რას მოასწავებენ სიზმრები?

**ხომ გინახავთ აბდაუბდა სიზმარი, რომლის აზრს ვერაფრით მიმხვდარხართ? საინტერესოა, შესაძლოა თუ არა, რომ სიზმრის ინფორმაცია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხებოდეს?**

ძილისა და მასთან დაკავშირებული საკითხების სპეციალისტთა აზრით, სწორედ ძილის დროსაა შესაძლებელი ორგანიზმის ჯანმრთელობის, მისი ფიზიკურ-ემოციური მდგომარეობის შესახებ მეტად საგულისხმო ინფორმაციის მიღება, რომელიც ადამიანის „მეორე მესგან“ მოდის კონკრეტული მოვლენებისა და სიმბოლოების სახით.

ცნობილი მკვლევარი ლორინ ლევენბერგი აღნიშნავს ხუთი მთავარი ტიპის სიზმრებს, რომლებიც, შესაძლოა, ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ისინი ეხება სახლს, ავტომანქანას, წყალში დახრჩობას, სისხლდენასა და ვარდნას. სახლი – რეალური და მისტიკური, სხეულის სიმბოლოდ ითვლება და და იმას ასახავს, თუ როგორ აღიქვამს კაცის გონება საკუთარ თავს. მაგალითად, ხანძარი სახლში სერიოზული სტრესის ნიშანია; ავტომანქანა – ესაა პროგრესისკენ ლტოლვის სიმბოლო, ხოლო როცა ავტომანქანით მოძრაობისას მუხრუჭი გიმტყუნებთ, სიზმარი გამცნობთ, რომ ცხოვრებაში რაღაცას არასწორად აკეთებთ; წყალში დახრჩობა იმას მეტყველებს, რომ თავს ზედმეტად იტვირთავთ და საჭიროზე მეტ პასუხისმგებლობას კისრულობთ, რაც ჭარბ ემოციურობას იწვევს; სისხლდენას რაიმე კონკრეტული დატვირთვა არა აქვს, თქვენია იგი თუ სხვისი, ორივე შემთხვევაში ის ადამიანის ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვას გამოხატავს და, იმას მიანიშნებს, რომ კონკრეტული საქმის კეთებისას ჭარბად იხარჯებით. ვარდნა იმას გამცნობთ, რომ თუკი თქვენში დეპრესიული მომენტები ჭარბობს, ეს იმის ნიშანია, რომ პირად ცხოვრებაში რაღაც აუცილებლად უნდა შეცვალოთ.



### სიკვდილიცაა და სიკვდილიც...

**ნიგერიელი დიქტატორი სანი აბაჩა, რომელიც ქალთა სქესის უზომო ტრფიალით გამოირჩეოდა, თავის მდიდრულ სასახლეში გამართული მორიგი ორგიის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა. ამის მიზეზი აფროდიზიაკ ვიაგრას ჭარბი დოზა გახდა, რომელიც მან აღვირახსნილი ღრეობის დაწყებამდე მიიღო.**

* * *

**ექიმები გვარწმუნებენ, რომ შეჭმუხნილი სახის პატრონებს გაცილებით მეტი კუნთი აქვთ დაძაბული, ვიდრე მომღიმარ ადამიანებს. აქედან გამომდინარე, ამბობენ, რომ სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ვის როგორ და ვის – როგორ. მაგალითად, ამერიკელი ალექსი მიტჩელის სიკვდილის მიზეზი, ერთ-ერთი ტელეგადაცემის ცქერისას სწორედ სიცილი გახდა, რის გამოც გულის შეტევა მოუვიდა.**

* * *

**1998 წელს კი კამერუნელი სოფლელი ქურდი მბონგო კვლავ ქათმის მოპარვისას რომ დაიჭირეს, განრისხებულმა თანასოფლელებმა... ნაქურდალის შეჭმა დააძალეს, მაგრამ რამდენიმე წუთში მას ქათმის ბუმბული ყელზე დაადგა და გაიგუდა.**

## ინფორმაცია

# თაღლითები დააკავეს

**თაღლითობის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: გიორგი ბოჭორიშვილი და მისი თანამზრახველები - ლევან გორგასლიძე და ნესტორ სივსივა.**

გამოძიებით დადგენილია, რომ გიორგი ბოჭორიშვილი შუამავლების - ლევან გორგასლიძისა და ნესტორი სივსივას მეშვეობით დაუკავშირდა ერთ-ერთ მეწარმეს, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ჰქონდა 1 მილიონ 77 000 ლარი. ბოჭორიშვილი თაღლითური გზით, მატერიალური სარგებლის მისაღებად შეეცადა დაერწმუნებინა მეწარმე, რომ თითქოსდა თავისი პირადი ნაცნობების გამოყენებით დაეხმარებოდა მას საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაში და დარიცხულ გადასახადს შეუმცირებდა. სანაცვლოდ კი მეწარმისაგან 350 000 ლარს ითხოვდა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იუწყება, აღნიშნულ მეწარმეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში თავად ჰქონდა წარდგენილი განცხადება საგადასახადო შეთანხმების შესახებ, რომელიც სრულიად კანონიერი გზით, მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაკმაყოფილდა და გაფორმდა შეთანხმება 600 000 ლარის გადახდის შესახებ.

მათივე მტკიცებით, ბოჭორიშვილმა გადაწყვიტა საგადასახადო შეთანხმების ფაქტი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და შუამავლების მეშვეობით მეწარმისაგან ისევ მოითხოვა 350 000 ლარის გადახდა. იგი ამტკიცებდა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმება გაუქმდებოდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მაშინ დააკავეს, როცა გ. ბოჭორიშვილმა მეწარმისაგან მოთხოვნილი თანხის ნაწილი - 300 000 ლარი აიღო. მას და ნესტორ სივსივას დაკავებისას აღმოაჩნდათ ორი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცხრამეტი-ასმეოთხმოცე და ორას ოცდამეთექვსმეტე მუხლებით, რაც საერთო ჯამში ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ცხრა წლამდე ვადით.

ჯი-ეიჩ-ენი

შვილები ნანი, ნუგზარი, და როზა, შვილიშვილები ლუკა, გიგი, რატი, რძლები თამარი, დარია, შვილთაშვილები ნანუკა, ანასტასია, ნატალია, რუსუდანი და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ვასილის ასული შავდია-კვაშილავა

პანაშვიდი 18, 19 I, გამოსვენება 20 I, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის, 15.

ნოდრის კარიკატურა



◉ დეზოდორის მაგივრად

# სიბინძურის ყულაბა,

## ანუ ვის როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება. ვის და რას წარადგენდა ნობელის პრემიაზე ქრონიკელი გელა ზედელაშვილი

„თქვენი „სიბინძურის ყულაბისთვის“ კიდევ ერთ „ღლავს“ გიგზავნით.

როგორც მოგეხსენებათ, გაზეთ „ქრონიკის“ ფურცლებზე თითქმის მთელი იანვარი გრძელდება ბუზის სპილოდ გადაქცევის პროცესის მეთოდური „მხილება“, ანუ „დიდი სკანდალი მწერალთა კავშირში“. არადა მწერალთა კავშირის შპს გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი ვ. ოთარაშვილი გაათავისუფლეს დირექტორობიდან... ეს იყო და ეს. და კიდევ ის იყო, რომ ვ. ოთარაშვილის მეგობარმა პოეტმა ზ. ქინქლაძემ დედა აგინა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ყველას და ყველაფერს, რაც „ქრონიკამ “ უმალ „ცხლად“ მიართვა მკითხველს, ოღონდ თანხმოვანი, მაგრამ უთუოდ ამაყი ბგერა „ყ“ გამოტოვა, ანუ ერთგვარად თითქოს შეარბილა სექსუალური აქტი.



პატივცემული გელა ზედელაშვილი ამავე კუთხით ანუ, სექსუალური აქტის „შერბილების“ კუთხით, განაგრძობს „ქრონიკის“ ამ კვირის ნომერშიც მწერალთა კავშირის „სკანდალის“ წარმოჩენას. კერძოდ, გაბრაზებულ მწერალთა რიგი „ქრონიკის“ კარზე თურმე არ წყდება. ერთ-ერთ ახლობელ პოეტს თვითონ გელასთვის მიუტანია პრეზიდენტ მიშაზე დაწერილი ლექსი, რომელიც ვ. ოთარაშვილს და ზ. ქინქლაძეს ანთოლოგიაში არ შეუტანიათ. მაგრამ, აბა, თვითონ გელა ზედელაშვილს მოუსმინეთ: „წავიკითხე: დავფიქრდი. ცოტა ბილწსიტყვაობაში კია გადაწყვეტილი, მაგრამ იმდენად მომეწონა თქვენც უნდა გაგაცნოთ (ჩვენ გვეუბნება, მკითხველებს ლ. გ.), რა ვქნა, ვერ მოვითმენ, მე პირადად ამ ერთ სტროფს ნობელის პრემიაზე წარვადგენდიო“.

აი ის სტროფიც (პრეზიდენტი მიმართავს ხალხს):

„როცა მოვკვდები,
აღარ ვიქნები,
არ მინდა თქვენი
ვარდი და ია,
გთხოვთ, დამიწეროთ
საფლავის ქვაზე
ჩემი მოტ...ნული
ქალების სია“



პატივცემული გ. ზედელაშვილი სექსუალური ასობგერის, უფრო სწორად, შარიანი თანხმოვნის „ყ“-ს ჩამატებისა თუ გამოკლების უფლებასლა გვიტოვებს. ასე რომ, ვისაც როგორ გენებოთ, ისე წაიკითხეთ. გინდა ჩაუმატეთ ეს ოხერი ყ და გინდა ნუ ჩაუმატებთ, ყ მაინც თავისას შვრება.

ისე, თვითონ საფლავის ქვაზე წასაწერ სიაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ნამდვილად გაუგებარი ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს აგრერიგად გაიაფდა ნობელის პრემიაზე წარსადგენთა ჩვენებური სია.

ჩვენს შემთხვევაში კი უბრალოდ დასანანია, რომ პატივცემული ჟურნალისტი ლექსის ავტორის გვარ-სახელს არ ასახელებს, არადა, აბა ისე როგორ წარადგენს ამხელა პრემიის მოსაპოვებლად?!.

**ლავრენტი გაბაშვილი.**

ფილოლოგი.
ქ. ხაშური.

◉ დღის კალენდარი

18 იანვარი

კრება 70-თა მოციქულთა; ღირსთა: ევაგრესი, შიო მღვიმელის მოწაფისა და ელია დიაკონისა, იოანე ზედაზნელის მოწაფისა (VI); ღირსისა თეოქტისტესი, სიკელიის კუკუმოს იღუმენისა, საკვირველთმოქმედისა ((800); ღირსმოწამისა ზოსიმე მონაზონისა და მოწამისა ათანასე კომენტარისა (III-IV); ევსტათი I-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა (1279-1286). ღირსისა ტიმოთე მესვეტისა (872), ღირსმოწამე ონოფრე ახლისან (1818)



ამოდის 07.24
ჩადის 16.55



ამოდის 19.53
ჩადის 09.16

### დაიბადნენ:

**1600 – პედრო კალდერონ დე ლა ბარკა,** ესპანელი დრამატურგი. გარდაიცვალა 1681 წელს.

**1706 – ბენჯამენ ფრანკლინი,** ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი. გარდაიცვალა 1790 წელს.

**1732 – სტანისლავ II პონიატოვსკი,** პოლონეთის უკანასკნელი მეფე.

**1847 – ნიკოლაი ჟუკოვსკი,** გამოჩენილი რუსი მეცნიერი. გარდაიცვალა 1921 წელს.

**1880 – დევიდ მაკ სენეტი,** ამერიკული კინოს ერთ-ერთი კორიფე.

**1896 – ივანე აბაშიძე,** ცნობილი მსახიობი. გარდაიცვალა 1937 წელს.

**1961 – მაია ჩიბურდანიძე,** მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

### გარდაიცვალნენ:

**1876 – პეტრე ბაგრატიონი,** რუსეთში მოღვაწე მეცნიერი.

**1869 – ალექსანდრ დარგომიჟსკი,** რუსი კომპოზიტორი.

**1893 – რატერფორდ ჰეისი,** აშშ-ის მე-19 პრეზიდენტი.

### მოვლენები:

**1773 წელი** – კაპიტანმა კუკმა ხომალდით „რეზოლუშენი“ გადალახა სამხრეთ პოლარული წრე.

**1913 წელი** – რაიმონდ პუანკარე საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს.

მედიანიუსი



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● პირველად ძველ ბაბილონში დაადგინეს, რომ კვირაში 7 დღეა, წელიწადში – 12 თვე, საათში – 60 წუთია და წრე – 360 გრადუსია.

● მსოფლიოში ყველაზე ძველი დედაქალაქია სირიის დედაქალაქი – დამასკო.

● ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოის 1833 წლამდე თანლაუნგი – მფრინავი ურჩხული ერქვა.

● ქალაქ ლვოვი 1772 წელს ავსტრიას მიეკუთვნა და სახელად ლემბერგი ეწოდა.

● ქალაქ რუანში დაწვეს კოცონზე ჟანა დარკი.

● ლიმიტროფები ეწოდებოდა ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, როგორც ანტისაბჭოთა „სანიტარულ კორდონს“, რომელიც ანტანტის ქვეყნებმა საბჭოეთის წინააღმდეგ შექმნეს.

● ეიფელის კოშკი, XIX საუკუნის ტექნიკის მიღწევის სიმბოლო, ფრანგმა ინჟინერმა გუსტავ ეიფელმა შექმნა.

● ვისკი პირველად ბერებმა დაამზადეს და მას სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა.

● ამერიკა წელიწადში 18 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ბრძოლაში.

● მეორე მსოფლიო ომში 72 სახელმწიფო მონაწილეობდა. ომი 40 ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

● ალ კაპონე პირადად მონაწილეობდა 215 მკვლელობაში.

● ამერიკული კომპანია „პოინტ კომის“ გამოკვლევით, ამერიკაში ყველაზე მეტი თეთრი ფერის ავტომობილია (20%), შემდეგ მოდის მწვანე და წითელი. სულ კი ამერიკის ქუჩებში და ტრასებზე 150 შეფერილობის ავტომობილი დაქრის.

● 1924 წელს მორბენალმა კრისტოფერ უოტსმა დადო ნაძლევი, რომ გაუსწრებდა ნებისმიერ ცხენს, თუ ისინი 6 დღე-ღამის განმავლობაში ირბენდნენ და მოიგო კიდეც. 1937 წელს კი 100 მეტრზე სირბილში ცხენებს ჯესი ოუენსმა გაუსწრო.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– მატყუარავ, შენ მე პირობა მომეცი, მაგრამ სიტყვა არ შეასრულე!

– კარგი, ნუ ტირი... თუ გინდა, კიდევ მოგცემ პირობას.

* * *

– ხვალ ექიმთან წავალ.

– ექიმთან? ავად ხარ?

– იმედი მაქვს, რომ ავად ვარ, თორემ, თუ ჯანმრთელი ვარ, რატომ ვგრძნობ თავს ასე ცუდად?

* * *



– ჭიჭიკია, ბიჭო, როგორი ამინდებია თქვენთან?

– ისეთი გვალვა და სიცხეებია ძროხები პირდაპირ რძის ფხვნილს იწველებიან.

* * *

– რა აზრისა ხართ თქვენს დირექტორზე? – ეკითხებიან პეტკას.

– სანამ არ მოხსნიან, კონკრეტულად ვერაფერს ვერ გეტყვით.

* * *

სვანმა ბოძი კედელზე მიაყუდა, შემდეგ კიბეზე ავიდა და ბოძის გაზომვა დაიწყო. ბოძი წაიქცა. ისევ მიაყუდა და კვლავ მიადგა მეტრიანით. ისევ წაიქცა ბოძი.

– რას აკეთებ, კაცო, რას წვალობ? – ეკითხება მეგრელი.

– რას და ამ ბოძის სიმაღლე მინდა გავზომო.

– მერე ამდენს რად წვალობ, დააგდე მიწაზე და უცებ გაზომავ.

– მე სიმაღლის გაზომვა მინდა, სიგრძის კი არა!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.